საკვირო გაზეთი

№16 (474) • 25 აპრილი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გინესის წიგნში შესატანი ამბავი

მოწყალე პრეზიდენტი მარგველაშვილი დღეში ორი პატიმრის შეწყალებას ასწრებს!

რამაზ საყვარელიძე:
„ქართულ ოცნებაში“ თუ საერთო ენას ვერ იპოვიან, პარტია დაიშლება, რასაც, ვფიქრობ, არ დაუშვებენ

მოდით, რა, მივბაძოთ ტრამპს, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს. თუ ის არ ლაპარაკობს პარტიულ დისციპლინაზე, ჩვენ რატომ ვლაპარაკობთ?

ქართული კულტურის დიდი ძარცვა

გელოდი ფოცხიშვილი: ქართული ცეკვები უკვე მიიტაცეს თურქებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა, ჩეჩნებმა“

რატომ იქცა არანორმალურობა პლანეტარული მასშტაბის ნორმად?

21-ე საუკუნეს მასობრივი შიზოფრენიის საუკუნეა

რა მანძილია მენდელსონის მარშიდან სამგლოვიარო მესამდე?

ვინ იყო სტალინის მესამე საიდუმლო ცოლი?

„საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა"

სუს-ის 2017 წლის ანგარიში – ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები და საფრთხეები

ვახტანგ გომელაური, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:

— მინდა ყურადღება გავამახვილო ჩვენი ქვეყნის მთავარ საფრთხეებზე.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

საერთაშორისო ტერორიზმიდან გამომდინარე საფრთხეები, ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოქმედი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების საქმიანობა.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე წლის 24 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა, რასაც არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა და ჩვენი ქვეყნის ორი მოქალაქის იძულებითი ტყვეობა მოჰყვა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორი რთულია უსაფრთხოების ვითარება აღნიშნულ რეგიონებში.

მსგავსი ტრაგედიები ნათლად გვიჩვენებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ხშირი დარღვევა არის სწორედ ის უპირველესი გამოწვევა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დღის წესრიგს.

წლების განმავლობაში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაცია სოხუმსა და ცხინვალში ეტაპობრივი ანექსიის პოლიტიკას ახორციელებს. ამის ნათელი მაგალითებია ოკუპირებულ აფხაზეთში რუსებისა და დე-ფაქტო შს სამინისტროს ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა. ასევე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადასვლა.

გასული წლის განმავლობაში, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 100-ზე მეტი უკანონო სამხედრო წვრთნა ჩაატარა. აღნიშნული აზიანებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხო გარემოს.

გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაცია, უკანონო დაკავებები, იზღუდება თავისუფალი გადაადგილება და მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. გრძელდება ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალებისა და ანექსიის პროცესებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ახდენდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული ვითარების მონიტორინგს. ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს.

ამ მიმართულებით, აქტიურად ვთანამშრომლობთ სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩვენი სამსახური წამყვანი უწყებაა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებში, სადაც მუდმივად განიხილება ყველა პრობლემური საკითხი და ინციდენტები.

აღნიშნული შეხვედრის დღის წესრიგში მუდმივად დგას სასტიკად მოკლული გიგა ოთხოზორიასა და ცხინვალის რეგიონში გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული დავით ბაშარულის საქმეები. სუს-ი ყველაფერს აკეთებს და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ ბერკეტს, რათა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირები წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

2017 წელს გალში 10, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, სოფელ ერგნეთში 11 შეხვედრა გაიმართა. აქტიურად ფუნქციონირებდა ე.წ. ცხელი ხაზი.

სუს-ის აქტიური ჩართულობისა და ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 2017 წელს ცხინვალის ე.წ. ციხის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა 2016 წელს დაკავებული გიორგი გიუნაშვილი, რომელსაც 20-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა.

ოკუპირებული აფხაზეთიდან 6-წლიანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა გიორგი ლუკავა, რომელსაც 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

სამსახური ჩართულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, სადაც პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განიხილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოების ვითარება.

ჩვენ ვთანამშრომლობთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საქართველოში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან. ასევე გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლობებთან. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ჰააგის სს საერთაშორისო სასამართლოსთან, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულებებს იძიებს.

2017 წელი, ტერორიზმიდან მომავალი საფრთხეების მიმართ, გარკვეულწილად, კრიტიკული აღმოჩნდა. ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები, მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგების შემდეგ, ტერორისტული აქტივობების განხორციელების მიზნით, სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრნენ. შეიცვალა ორგანიზაციის მოქმედების ტაქტიკაც. იგი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების განხორციელებიდან ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებაზე გადაერთო. ისლამურმა სახელმწიფომ მრავალ ქვეყანაში ტერორისტული აქტები განახორციელა, რის შედეგადაც, მშვიდობიანი მოქალაქეები დაიღუპნენ.

გასულ წელს საქართველოში ადგილი ჰქონდა ტერორიზმის დაფინანსების მცდელობებს. ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერისა და საქართველოს ცალკეული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს. ზემოაღნიშნულისა და სხვა ტიპის აქტივობებთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შესაბამისი ღონისძიებები გაატარა.

კონტრტერორისტულ ცენტრში გამოძიება დაწყებულია სს ექვს საქმეზე.

2017 წელს სუს-ის სამსახურმა ტერორისტული აქტები დაგეგმვის პროცესში აღკვეთა. სამსახურის მიერ გამოვლინდა საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფი და მათი ხელშემწყობი საქართველოს მოქალაქეები. არსებული ინფორმაციით, ტერორისტული ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა, ტერორისტული აქტების მოწყობა თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე.

ლიკვიდირებულ პირთა შორის დადგინდა საერთაშორისო ტერორისტი აჰმედ ჩატაევი.

თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი და დაიჭრა რამდენიმე სამართალდამცავი. თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებში.

სუს-ის მიერ თბილისსა და ახმეტის რაიონის სოფლებში ტერორისტული ჯგუფებთან კავშირზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაკავების სპეცოპერაცია ჩატარდა.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დაკავებული იქნა ხუთი პირი. ერთ-ერთი მათგანი სპეცოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

აღნიშნულ ტერორისტულ ჯგუფთან მიმართებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული მოქმედებები იყო პრევენციული, რადგან მოხდა ტერორისტული ჯგუფის გამოვლენა და მათი ქმედების აღკვეთა.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო კვლავ ინარჩუნებს დაბალი ტერორისტული საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსს.

2017 წლის განმავლობაში საქართველოში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" გავლენები მნიშვნელოვნად შესუსტდა. საქართველოში სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა ინტერესდება ამ ორგანიზაციის იდეოლოგიითა და ე.წ. რელიგიური შეხედულებებით. ამ პროცესზე გავლენა იქონია სირია-ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა და სახელმწიფოს მიერ გატარებულმა შესაბამისმა ღონისძიებებმა.

ტერორიზმის არაპროგნოზირებადი ბუნებიდან გამომდინარე, საფრთხეების სრულად აღკვეთა შეუძლებელია, თუმცა გასულ წელს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ უსაფრთხოების სამსახურს შეუძლია ტერორისტული აქტივობების მოსამზადებელ ეტაპზე გამოვლენა და აღკვეთა, რაც დღეს არსებული დინამიური ტერორისტული აქტების საფრთხეების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს.

კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან.

საანგარიშო პერიოდში კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანებია: ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება. საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის,

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაპალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა.

საკუთარი ამოცანების შესასრულებლად, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად იყენებენ ჰიბრიდული ომის ტაქტიკას, ცდილობენ, პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის, ასევე, სხვა კომპონენტების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას.

საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოებაში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული მეთოდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მიმართულია ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების, ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ.

გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მცდელობები, გააძლიერონ და გააფართოვონ პოლიტიკური გავლენები, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებისა და დეზინფორმაციის გავრცელებისთვის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შეიმჩნევა ექსპერტული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სააგენტოების შექმნის მცდელობები, სადაც ხდება კონკრეტული საკითხების დამუშავება და საზოგადოებისთვის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მიწოდება. გარკვეული ორგანიზაციები ეროვნული და რელიგიური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიზანმიმართულად ცდილობენ შეღლისა და სიძულვილის გაღვივებას. ადგილზე ვითარების დაძაბვასა და დესტრუქციულ მოწოდებებს სახელმწიფოსთვის, გარკვეულწილად, დამაზიანებელი იდეებისა და შეხედულებების გავრცელებას.

საანგარიშო პერიოდში კომპლექსურად ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში ჩართული ძალებიჟსა და მათი დაფინანსების წყაროების დასადგენად. გემოვლენილია პირთა წრე, რომელთა ქმედებებში იკვეთება უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან შესაძლო კავშირის ნიშნები. დადგენილია მათი კონტაქტები. საქართველოს მოქალაქეებთან მიმდინარეობს აღნიშნული კონტინგენტის ოპერატიული შესწავლა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამოვლენა. იდენტიფიცირებულნი არიან პირები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იდეის პროპაგანდას ეწევიან. მათი მხრიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალების მიზნით გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ქვეყანაში გაზრდილი მიგრაციული ნაკადების ფონზე მუდმივად მიმდინარეობს მიგრაციული არხების მონიტორინგი. გამოიკვეთა უცხო ქვეყნების მოქალაქეთა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით

ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლო და საფინანსო, საბიუჯეტო კონტროლი.

სააგენტომ 2017 წლის დეკემბერში საქმიანობის პირველი ანგარიში წარადგინა.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ სამჯერ განხორციელდა სააგენტოს ინსპექტირება.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების პრევენცია და მათზე რეაგირება სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნულ სფეროში მიღწეული წარმატებების კუთხით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ორი მნიშვნელოვანი ფორუმი, სადაც უცხოელ პარტნიორებთან და დონორებთან ერთად განხილული იქნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების მიმართულებებით ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ამ მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ მასალებისა და ნივთიერებების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას.

სამსახური ახორციელებს საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემის ტექნიკური და პროგრამული გამართულობის უზრუნველყოფას. აღსანიშნული დაფუძნების მსურველთა რაოდენობის ზრდა.

აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები, მუდმივი ბინადრობის ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების შესწავლა, რომლებსაც, შესაძლოა, კავშირები ჰქონდეთ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის ანტიკორუფციული საქმიანობა მიმართული იყო სამოხელეო დანაშაულის, საჯარო სამსახურებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ფაქტების პრევენციის გამოვლენისა და აღკვეთის წინააღმდეგ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში გასული წლის განმავლობაში გამოძიება დაიწყო სს 62 საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის სახით სს პასუხისგებაში მიცემული იქნა 61 პირი, სს 41 საქმეზე.

ბოლო პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა ნათლად დაგვანახა, რომ აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე პირების მიმართ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების პოზიცია საკმაოდ მკაცრია და არ არსებობს ამ დანაშაულში ჩართული ხელშეუხებელი პირები.

სამსახური მუდმივად ცდილობს ინსტიტუციური რეფორმების გატარებას და სქმიანობაში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მექანიზმების დახვეწისკენაა მიმართული.

საანგარიშო პერიოდში პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისა და მეტი დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 27 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. სააგენტო სარგებლობს დამოუკიდებელი გარანტიებით და არ გააჩნია საგამოძიებო უფლებამოსილება, როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არმქონე ორგანო, უზრუნველყოფს უფლებამოსილებას საგამოძიებო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციების მქონე ორგანოების მიერ შესაბამის საკანონმდებლო პროცედურების დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებას.

მიმართულებით, ჩვენი მთავარი პარტნიორია აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი.

ჩვენს საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, სტრატეგიულ პარტნიორებთან, მეგობარ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. სამსახური შიდა უსაფრთხოების სტრუქტურებთან კოორდინაციის პარალელურად, აქტიურადაა ჩართული პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობაში. აღსანიშნავია, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია აშშ-ის როლი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ჩვენი სამსახურის შესაძლებლობების განვითარებაში.

სუს-ის ინიციატივით, გასული წლის განმავლობაში გაფორმდა ოთხი საერთაშორისო შეთანხმება. მათ შორის საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის, ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

სისტემატურად მიმდინარეობს საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოებების ატაშეებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ინფორმაციების გაცვლა და მათ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებზე სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

კანონის ფარგლებში დადგენილი წესით ხორციელდება საჯარო ინფორმაციის გაცემა.

ჩვენს საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის რესურსების მართვის პოლიტიკას, სწორი და ეფექტური მენეჯმენტის საკითხებს. ვაკეთებთ რა აქცენტებს განათლებული ახალგაზრდების მოზიდვაზე და ამავე დროს მაქსიმალურად ვცდილობთ შევინარჩუნოთ პროფესიონალები. სამსახურში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ კანდიდატებს ეროვნების, ეთნიკური და რელიგიური, ან გენდერული კუთვნილების მიუხედავად.

უსაფრთხოების სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების ჯეროვანი შესრულებისთვის აუცილებელია, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და მუდმივი განახლება. საანგარიშო პერიოდში მოეწყო საველე სწავლების ბაზის ინფრასტრუქტურა, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს სამსახურის სპეციალური დანაყოფების თანამშრომელთა ტაქტიკური მომზადება-გადამზადება. ასევე, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წელს დასრულდება ახალი ადმინისტრაციული შენობის აშენება.

ქალბატონებო და ბატონებო, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს და შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

სამსახური მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას ახალი გამოწვევების შესაბამისად, კანონისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით, მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი, როგორც ქვეყნის, ასევე თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება.

ანგარიში წაკითხულია საქართველოს პარლამენტში

18.04.2018

რედაქციისაგან: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ბატონი ვახტანგ გომელაურის მოხსენების სრული ტექსტის გამოქვეყნება მიზანშეწონილად იმიტომ ჩავთვალეთ, რომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია მოსახლეობა ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას სუსის მუშაობის შესახებ, რადგან მთლიანად ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტურ საქმიანობასთან.

სამწუხაროდ, ეს მარტივი ჭეშმარიტება საზოგადოების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული და გათავისებული.

უცნაური ხალხი გამოვდექით ქართველები, დავგმეთ ბესლანის ტერაქტი, 11 სექტემბრის ტერაქტი, ვიგლოვეთ საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის შედეგად დახოცილი ადამიანები და ასე შემდეგ, მაგრამ როგორც კი ჩვენს სამშობლოში გაჩნდა იგივე საშიშროება, საზოგადოების ერთი ნაწილი ტერორიზმში ეჭვმიტანილების დამცველებად მოგვევლინა.

რა თქმა უნდა, დიდი ტრაგედიაა ის, რაც დუისში მოხდა, ტრაგედია, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლაზე უარი ვთქვათ, ჩვენი უსაფრთხოების სამსახურს კომპლექსები გავუჩინოთ და დამნაშავეებად გამოვაცხადოთ მაშინ, როცა მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადებული მოქმედებების გამო ისინი საქართველოს მოქალაქეებისგან ნამდვილად იმსახურებენ მადლობას.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევენ ექსპერტები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში, დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის დიდი ხნის წევრი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ინტენსიურად იყო ჩართული კონტრტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებში და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

ანგარიშის მიხედვით, საქართველომ ასევე მიაღწია პროგრესს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ შიდასახელმწიფოებრივი პროგრამის იმპლემენტაციის მიმართულებით.

„საერთო გაზეთი“

დიდი რისკი არსებობს, რომ „ქართულ ოცნებაში“ თუ საერთო ენას ვერ იპოვიან, პარტია დაიშლება, რასაც ვფიქრობ, არ დაუშვებენ

მოდით, რა, მივბაძოთ ტრამპს, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს. თუ ის არ ლაპარაკობს პარტიულ დისციპლინაზე, ჩვენ რატომ ვლაპარაკობთ,

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობაში დაპირისპირება არ ცხრება. რა ხდება , რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

— როგორც თავად „ქართული ოცნების“ წევრები აღნიშნავენ მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც მათი აზრით, ბევრად შედეგიანი იქნება, ვიდრე დიდი შეხვედრა. ჯერ ცალ-ცალკე აპირებენ შეხვედრებს და ვნახოთ ეს რას მოგვიტანს. თუ დაპირისპირება არ შეწყდა, პროცესი შეიძლება ქაოსში გადავიდეს. საქმე ძალზედ გაჭიანურდა, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე შორიდან ჩანდა. მე, მაინც მგონია, რომ ამ კრიზისს „ქართული ოცნება“ გადალახავს. დიდი რისკი არსებობს, რომ „ქართულ ოცნებაში“ თუ საერთო ენას ვერ იპოვიან, პარტია დაიშლება, რასაც ვფიქრობ, არ დაუშვებენ. თუ უმრავლესობა დაიშლება, პარლამენტი გადაწყვეტილების მიღების უნარს დაკარგავს. თანაც, გააჩნია რა ნაწილებად დაიშლება — თუ ერთ-ერთ მხარეს მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩა, რიგ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ოღონდ, საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ექნებათ. მაგრამ თუ „ქართული ოცნება“ ისე დაიშლება, რომ რიგითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის არცერთ მხარეს საკმარისო რაოდენობა არ ეყოლა, ანუ, მარტივი უმრავლესობა არ შეიკრიბა, მაშინ მათ სხვა პარტიებთან ალიანსის ძებნა მოუწევთ.

— თქვენი აზრით, რამ წარმოშვა ეს დაპირისპირება, იმან ხომ არა, რომ უმრავლესობა სხვადასხვა იდეოლოგიის, პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი ჯგუფებით არის დაკომპლექტებული?

— ამდენი ხალხი ერთნაირი იდეოლოგიის და პოლიტიკური მრწამსის რომ იყოს, ამას ვერასდროს მივაღწევთ. კომუნისტურმა პარტიამ 70 წელი იარსება და უზარმაზარ სივრცეს ფარავდა. განა, ყველას ერთნაირი იდეოლოგია ჰქონდა? მეტიც, იდეოლოგია, საერთოდ, ღიმილის მომგვრელი სიტყვა იყო, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ არსებობა უკვე სხვა რაღაცების ხარჯზე განაგრძო. ამიტომ, ნუ გავაფეტიშებთ იმ აზრს, რომ პოლიტიკა მხოლოდ იდეოლოგიური ერთიანობის შემთხვევაში არსებობს. იდეოლოგია შეიძლება იყოს მათი შემკვრელი ან არა. მით უმეტეს, თქვენ რაც ბრძანეთ — იდეოლოგიურად ერთნი არ არიანო, ეს ამჟამინდელ გუნდს იმდენად არ ეთქმის რამდენადაც მაშინ როცა მათ რიგებში „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ იყვნენ. ეს ბუნებრივი პროცესია. პოლიტიკა არის ბრძოლის არენა და არა ავტობუსი, სადაც შეიძლება ვიღაცას ადგილი დაუთმო.

— ბატონო რამაზ, პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ „ქართულ ოცნებაში“ თავმოყრილია ახალგაზრდების გუნდი, რომლებიც ე.წ. პრო-დასავლური ორიენტაციისაა?

— მეეჭვება, მათ არსებობა ასევე გააგრძელონ. ანალოგიურად სააკაშვილის მთელი გუნდი პრო-დასავლელი იყო, მაგრამ ამ სტატუსმა მათ პოლიტიკურ სიცოცხლისუნარიანობას ბევრი არაფერი შესძინა – არ მსმენია, ვინმე იძახდეს: პრო-დასავლელი ვარო ან პირიქით, ეს მგონი ცოტა მოძველებული სტილია. ვფიქრობ, არ არის აუცილებლობა შეთქმულება მზადდებოდეს იმიტომ, რომ ეს ბუნებრივი ტენდენციაა — ახალგაზრდები განსხვავდებიან თავიანთი შეხედულებებით, ტემპერამენტით, გემოვნებით. ის რომ მათთვის გუნდის მეორე ნაწილში ბევრი რამ მიუღებელია, დიდად გასაკვირი არ არის. ამიტომ, მგონი ძალიან ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს, ცოლ-ქმარიც განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად უნდა გაიყარნონ. ანუ, განსხვავებულობის მიუხედავად ადამიანები ერთმანეთს უგებენ და სწორედ ასე ნარჩუნდება ოჯახები, ეთნოსები, ქვეყნები. ვიმეორებ, განსხვავება ყველგანაა.

ვთვლი, რომ ხარვეზი მართვის სტილშია. ეს არ გახლავთ პოლიტიკური პრობლემა. თუკი ქარხანას, ოჯახს, გუნდს კარგად მართავ, მაშინ ზედმეტობის განცდაც არ იქნება. სადაც ავტორიტარული სტილია ანუ, თუ ძირითადად, ქარხნის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებებს, ასეთი სტილის მართვის დროს თანამშრომლები ქარხნიდან მიდიან მაშინაც კი როცა ანაზღაურება მაღალია. თუკი ქარხანაში, არასწორმა მენეჯმენტმა, შეიძლება კონფლიქტები და გადინება გამოიწვიოს, რატომ გვიკვირს, რომ პარტიიდან გადინებაც არასწორმა მენეჯმენტმა გააჩინოს.

— ეს პრობლემა სათავეს 2012 წლიდან იღებს?

— დიახ, ასეთი მართვის პირობებში, დიდხანს ვერ გაძლებ. შეგახსენებთ, ჟვანიას პერიოდში ასეთი ინციდენტები თითქმის არ მომხდარა მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი მის დროსაც საკმაოდ ჭრელი იყო. არანაკლებ ჭრელი იყო პარლამენტი უსუფაშვილის პერიოდში, როცა გუნდში სრულიად სხვადასხვა პარტიები იყვნენ თავმოყრილნი, მაგრამ ამას კონფლიქტი არ მოჰყოლია, ახლა კი უფრო მარტივ სიტუაციაში ვხედავთ რაც ხდება.ე.ი. პრობლემა მართვის სტილშია და არა პოლიტიკაში.

გარდამავალ ასაკში მყოფ შვილს თუ მშობელი ისე მოექცევა როგორც უფრო პატარას ანუ, მასთან მენტორული, ავტორიტარული იქნება, ეს მშობლის შეცდომაა: ამას შედეგად მოყვება ის, რომ ახალგაზრდა კაცი დაადებს თავს და სახლიდან გაიქცევა. ვისაც მართავ, მისი უნდა გესმოდეს. ესეც მართვის კულტურაა.

— ბატონო რამაზ, საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. თუ „ქართულმა ოცნებამ“ კრიზისი ვერ დაძლია, რა გავლენას მოახდენს ყოველივე?

— არ მგონია საპრეზიდენტო არჩევნებზე ამ პროცესმა რაიმე ზეგავლენა იქონიოს. იცით რატომ? — თავად საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ არ მაქვს ის დამოკიდებულება, რომ ეს საქართველოში კარდინალური მნიშვნელობის პოლიტიკური პროცესი იქნება. იმიტომ, რომ პრეზიდენტის თანამდებობა არსებული კონსტიტუციით არ არის ისეთი, რომ ამ სავარძლისთვის ბრძოლამ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლა იქნება, ოღონდ, ამას ისევ პოლიტიკური ჟღერადობა ექნება შემდეგი მხრივ: მაგალითად, ოპოზიცია დაინტერესებული იქნება შემდეგით — წაგლეჯს თუ არა მმართველ პარტიას პრეზიდენტის ადგილს და არა თავად ამ ადგილისთვის. ანუ, ისევ ჯობნაარჯობნის თვალსაზრისით გამძაფრდება ბრძოლა და არა იმისთვის, რომ პრეზიდენტის სავარძელი რომელიმე მხარეს რაიმეს მოუტანს. ამიტომ, არ მგონია ამ ტიპის მოვლენებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. თუ უმრავლესობა ფეხზე მყარად არ იქნა დამდგარი, შესაძლოა, ოპოზიციის, ან უპარტიო კანდიდატმა გაიმარჯვოს. მერე გარკვეული ხნით იქნება ჟივილხივილი იმის თაობაზე, რომ „ქართული ოცნება“ დამარცხდა. ამით დამთავრდება. გინდ ოპოზიციამ გაიმარჯვოს, გინდ უპარტიომ, ამით პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება.

— გაჩნდა იდეა, სიტუაცია ივანიშვილმა უნდა დაალაგოს და პრეზიდენტობაზე იყაროს კენჭიო. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამ თემაზე?

— იდეალურ შემთხვევაში, ალბათ, კარგი იქნებოდა, მაგრამ არ უნდა ამ კაცს პრეზიდენტობა, პოლიტიკაში შემოსვლა და ძალით ხომ არ გაუკოჭავენ ხელებს. ამიტომ, მეეჭვება, თორემ, ისე, თეორიულად, უმრავლესობის შენარჩუნებისთვის ივანიშვილის პრეზიდენტობა პოზიტიურ გავლენას იქონიებს. მაგრამ არ მჯერა რომ ივანიშვილს ხელებს გადაუგრეხენ გინდა თუ არა გაპრეზიდენტდიო.

— გაჟღერდა მოსაზრება, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებულ პრობლემას პარტიული დისციპლინას განმტკიცება ჭირდება.

— პარტიული დისციპლინა არის ტიპიური ავტორიტარული სახელმწიფოს ტერმინი. ეს ტერმინი საბჭოთა პერიოდში იყო. დღეს, ტრამპს „რესპუბლიკელების“ დიდი ნაწილი ისევე აკრიტიკებს, როგორც „დემოკრატები“. ამას ვუყურებთ ყოველდღე, მაგრამ ტრამპს არცერთხელ არ წამოსცდენია, რომ პარტიული დისციპლინაა აღსადგენი. საერთოდ, პარტიული დისციპლინის თემა თავშიც არ მოსვლია. მოდით, მივბაძოთ ტრამპს, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს. თუ ის არ ლაპარაკობს პარტიულ დისციპლინაზე, ჩვენ რატომ ვლაპარაკობთ, ეს ჩემთვის გაუგებარია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბინესის წიგნში შესატანი ამბავი -

მოწყალე პრეზიდენტი მარგველაშვილი დღეში ორი პატიმრის შეწყალებას ასწრებდა!

ეფემია ცაგარელი

ჩემი პრეზიდენტი ისევ მარგველაშვილია და სიმართლე რომ ვთქვა, ეს ისე დამღლელია...

3625 პატიმარი შეიწყალა თავისი 5 წლიანი პრეზიდენტობის ვადის პერიოდში მარგველაშვილმა – 1827 დღე შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 წელიწადში – გამოდის დღეში იწყალებდა 2 პატიმარს. დღეში რომ ორი პატიმრის საქმეს გაეცნო სრულად – მეტი არაფერი უნდა აკეთო, ვერც სადილობისთვის უნდა მოიცალო ნაცებთან ერთად, ვერც სხვა ქვეყნებში წახვიდე ვიზიტით და ის კარტოფილის ბაღიც მაგიტომ ვერ გაახარა, მოვლა უნდა ბაღს – ასე ჰარი-ჰარალოზე კი არ მოდის.

ხოდა, ვის ატყუებს ახლა, რისი საქმის შემსწავლელია და რისი ვერდიქტის გამომტანი. საქმის მასალები კი არა – სახელი და გვარის წაკითხვას თუ ასწრებდა ნეტავი? არა, თავისი ცოლის ძმის და ახლობლების სახელები და გვარები კი ეცოდინება – დანარჩენებზე ვამბობ, დანარჩენ ათასებზე.

ახალი სიბრძნე დააფილოსოფა ფეისბუქის გვერდზე: „იმის შესახებ, თუ რა უნდა დაიხვეწოს შეწყალების კომისიის მიმართულებით, დავიწყეთ კონსულტაციები და დავხვეწავთ კიდეც, მაგრამ კიდევ ერთხელ, ძალიან ნათლად დაინახა საზოგადოებამ ამაზრზენი დასაწყისი და საცოდავი დასასრული ამ შავი პიარის კიდევ ერთი ტალღის...“

კომენტარებს თუ ჩაყვებით: შავი არა, ყვითელიო – უწერენ, შეწყალების კომისიის კორუმპირებულ წევრებს მიხედეთ, სჯობსო – ურჩევენ, ნაცნობობით და ფულით შეწყალებას მორჩითო – სთხოვენ.

მანამდე იყო ბრიფინგი – სადაც სწუხდა, სწუხდა, რომ მოტივაცია გაუჩნდა დამნაშავის შესაწყალებლად.

ადამიანები ცდებიან და რა მოხდა, პრეზიდენტიც ადამიანია, მაგრამ...

მაგრამ ეს ის პრეზიდენტი არ არის, წლებია, რომ ასე ალალბედზე არიგებს შეწყალების ფურცლებს? ეს ის პრეზიდენტი არ არის, არავის რჩევებს რომ არ ითვალისწინებდა, აქამდე?

აქამდე, საჭიროდ რომ არ თვლიდა არავისთან თანამშრომლობას შეწყალების კომისიის სწორად საქმიანობასთან დაკავშირებით?

აკი, განხილვა არაფერ შუაშია, არც საბუთებიო – გვიღიმოდა ტელეეკრანიდან – შეწყალება წყალობის აქტია და ჩემი საქმეა, ვის გადავცემ წყალობასო?

აკი, ვისაც ჩემი გადაწყვეტილებები არ მოსწონს, თავად გახდეს პრეზიდენტი და მე კიდევ ეგღა მაკლია საზოგადოების აზრის მიხედვით მოვიქცეო?

ახლა, შსს და პოლიტიკოსები მე მაბრალებენ და ამიტომ, მოდი დავიბრალებ და რაღაცეებს შევცლიო, მოდი, საერთოდ, კოჭს გავაგორებ და ოჯახური ძალადობის მუხლით ციხეებში მსხდომ ადამიანებს აღარ შევიწყალებ, ახლა ყველას დაველაპარაკები, ყველას აზრს გავითვალისწინებო...

ვერ გავიგე, თუ არაფერს ცვლიდა ეს შეწყალება, თუ არ არის პრეზიდენტი დამნაშავე – რატომ იხევს უკან, რატომ შეცვალა აზრები და ფრაზები, რატომ აღარ ჰგონია შეწყალება მხოლოდ მისი წყალობა?

როგორ არ ცვლის მოძალადის შეწყალება არაფერს – მე რომ მოძალადე ვარ და შემიწყალებ – შეწყალების იმედით, კიდევ ჩავჯდები ციხეში, რა მოხდება? ამოდენა პრეზიდენტმა შემიწყალა და ესე იგი, არც ისე დამნაშავე ვყოფილვარ – ასეც რომ ვიფიქრო, ხომ შეიძლება?

შეწყალების კომისიამ 8 კალენდარული დღე იმუშავა, შაბათ-კვირას ეგენი დაისვენებდნენ – ანუ, რჩება 6 სამუშაო დღე. დავუშვათ, დღეში 12 საათს მუშაობდნენ, მხოლოდ ერთსაათიანი შესვენებით – განიხილეს 1406 საქმე – თითო საქმის განსახილველად 20 წუთი ჰქონდათ, მეტი არა.

ახლა ამბობს, ყველა პროცედურულ დეტალებს უნდა ჩავუღრმავდე საქმეშიო – რა პროცედურული დეტალი – საქმის არსებით და ზოგად განხილვასაც ვერ მოასწრებთ 20 წუთში – ვის ატყუებთ?

იმდენი საბუთი ჩამოთვალა ახლა – ფსიქოლოგის დასკვნაო, სოციალური მუშაკის დასკვნაო, ოჯახის წევრების წერილებიო – სად მოასწარით ასე ოციოდე წუთში ამის განხილვა, მერე მსჯელობა როდისღა მოასწარით კიდევ?

რის გადაფარვას ცდილობდა პრეზიდენტი ამდენი პატიმრის შეწყალებით?

იქნებ, უნდოდა გადაეფარა პრეზიდენტის ცოლის ძმის შეწყალება, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 17 წელი და სამ წელიწადში გარეთ გამოვიდა.

მე არ ვცხოვრობ წელგამართულ ქვეყანაში, მე არ მაქვს შესაშური დემოგრაფიული მდგომარეობა და კი, მე არ მინდა, არაფერში მჭირდება ამდენი პატიმარი – მაგრამ, არა ამ გზით, არა, ასე.

რატომ ხვდება პრეზიდენტის მიერ ათასობით შეწყალებულთა სიაში მხოლოდ რამდენიმე ქალი პატიმარი, მხოლოდ ერთეული მოზარდი?

რატომ, დანარჩენ ქალ პატიმრებს პატრონი არ ჰყავდათ? დანარჩენი მოზარდების მშობლებს ნაცნობობა არ უვარგოდათ, თუ გვარი?

ქალების ბედზე განსაკუთრებულად ვწუხვარ და ამიტომ, ოჯახური ძალადობის მუხლით მსხდომ კაცებს აღარ შევიწყალებო და ციხეში, სატუსაღოში მოხვედრილი ქალი, აღარ არის ქალი? აღარ აქვს სქესი?

არასრულწლოვნები სხედან ციხეში მანქანის გატაცების მუხლით, წვრილმანი ხულიგნობის მუხლით, ქურდობის მუხლით – და პრეზიდენტმა შეიწყალა ადამიანები, რომლებმაც განზრახ მიაყენეს სხვა ადამიანებს დანით ან იარაღით სასიკვდილო ჭრილობები.

ახლა რაღა ენაღვლება, რატომღა არ შეაჩერებს შეწყალების პროცესებს – თავისი მოიბალახა, თავისი წაიღო, თავისი გამოუშვა, თავისი გაინაღდა – ერთბაშად, ჩვენზე არ წუხდეს, ერთბაშად, ჩვენი პატიმრები არ უწვავდეს გულს.

ოღონდ საყვედური არ უთხრან, ოღონდ ჩრდილი არ მიადგეს მის კარიერას, ოღონდ ისევ აირჩიონ მეორედ – არავისაც აღარ შეიწყალებს ცოტა ხანი – მოითმენს.

მაინც მისებური გამოსავალი იპოვნა, მაინც გლახური გამოსავალი იპოვნა – განა რეალურად განვიხილავ საქმეებს და ისე შევიწყალებ – უბრალოდ, გავჩერდები და აღარ შევიწყალებო.

აი, ერთი ბიჭი ზის ახლა ციხეში, ბიჭი, რომელმაც ცოლს შეუსწრო საყვარელთან. ცოლის საყვარელი მაგრად სცემა, კი ბატონო, ქალს კი სახეში შემოულაწუნა.

წავიდა ცოლი, დედ-მამას მოელაპარაკა და უჩივლა ქმარს – გამარტყაო, ძალადობაა ეგაო.

ხოდა, აი, ამ ბიჭს, რომელიც იმიტომ ზის ციხეში, რომ ცოლს საყვარელთან შეუსწრო და გაბრაზდა, ამ 24 წლის ბიჭს აღარ შეიწყალებს პრეზიდენტი – იმიტომ, რომ ჩემი პრეზიდენტი მშიშარაა, იმიტომ რომ უქნარაა, მხოლოდ ერთი ხელის მოსმით უნდა საქმის კეთება, მხოლოდ ყველას შეწყალება, ან არავის შეწყალება იცის.

არ მიყვარს ჭორების გამეორება, არ ვიმეორებ ხოლმე ჭორებს – მაგრამ ახლა ვიტყვი – ყველგან და ყველა იმაზე საუბრობს, რომ შეწყალება ნაცნობობით და ფულით ხდება დღეს – ყველა ასე ფიქრობს და ამბობს – გამყიდველი, თუ ტაქსისტი, მკერავი, თუ მანქანის ხელოსანი, მასწავლებელი, თუ ექიმი – ხოდა, კვამლი უცეცხლოდ არ ასდის ქვეყანას, კვამლი უცეცხლო არ ჩნდება.

რას ვიზამთ, არ უხდება თეთრ პრეზიდენტს შავი პიარი.

ამიტომ თეთრად და გაჭრილად ვეუბნები სათქმელს.

ერთი რამ ვერ გავიგე მხოლოდ, ერთი რამ არ მესმის – რა ჯანდაბად უნდა ნაციონალურ მოძრაობას მარგველაშვილი, რაში სჭირდება, სად უნდა გამოაჩინოს?

თუმცა, მეორეს მხრივ – ასეთ მორჩილ შემსრულებელს სხვაგან სად იპოვნიან.

და ბოლოს, პრეზიდენტს, რომელიც ამდენ ადამიანს იწყალებს, ერთი მაქებარი მაინც ხომ უნდა ჰყავდეს სადმე? ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ოჯახი ხომ უნდა ლოცავდეს სადმე?

სად არიან ამ შეწყალებულთა ოჯახები, სად არიან ამ შეწყალებულთა დები და ძმები, დედები და მამები, ცოლები და შვილები – რატომ არიან ჩუმად? – რისი ეშინიათ? იმის გახმაურების, რომ ნაცნობობით გამოიყვანეს პატიმარი? იმის გახმაურების, რომ თანხა გადაიხადეს? იმის გახმაურების, რომ უსამართლოდ გამოიყვანეს? უსამართლოდ შეწყვიტეს სამართლის აღსრულება?

ან, იქნებ, ყველაფერი უფრო მარტივადაა და სათქმელი არაფერი აქვთ, იქნებ იმათ ოჯახებში ახლა მეტად ძალადობენ.

მშიშარა და ბედოვლათი პრეზიდენტი მყავს მე, მთის წვერიდან არიგებდა ღიმილით შეწყალებებს, ახლა კი ჩირგვში შეძვრა და შავ პიარს აბრალებს თეთრი ძაფით დაბლანდულ საქმეებს.

555 46 08 04

რატომ იქცა არანორმალურობა პლანეტარული მასშტაბის ნორმად?

21-ე საუკუნე მასობრივი შიზოფრენიის საუკუნეა

„საერთო გაზეთის სტუმარია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ კლინიკური მენეჯერის პახა ყიფიანი.

პახა ყიფიანი: „რა თქმა უნდა არსებობს სტატისტიკა რამდენი ადამიანი იმყოფება ფსიქიატრიულ აღრიცხვაზე, თუმცა მთლიანობაში ზუსტ ციფრს ვერ გეტყვით. ჩვენი დისპანსერი გლდანი-ნაძალადევის რაიონს ემსახურება (ზაჰესიდან გადასასვლელ ხიდამდე), სადაც დაახლოებით 350.000 ადამიანი ცხოვრობს, სადღაც 3500 ადამიანი იმყოფება აღრიცხვაზე სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობით. ჩვენი დისპანსერი ახლა სადაც გლდანის ციხეებია, იმ ტერიტორიაზე იყო განთავსებული, თუმცა ნაციონალების ხელისუფლებამ იქიდან გამოგვყარა. 11 ჰექტარი მიწა საუკეთესოდ იყო გამწვანებული და ყველა სტანდარტიც დაცული იყო. აქაც(გლდანის მასივი, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა) გვაქვს ეზო, მაგრამ გაცილებით ნაკლები ტერიტორიაა და ინფრასტრუქტურაც წინანდელს ვერ შეედრება.

— ბატონო კახა, ადვოკატები და უფლებადამცველები ხშირად ჩიოდნენ, განსაკუთრებით ნაციონალების მმართველობის დროს, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა მძიმე ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს, რომლების ავადმყოფობასაც ქრონიკული სახე აქვს, ჯანმრთელებად, ან უკიდურეს შემთხვევაში რეაქტიული ფსიქოზით დაავადებულებად აცხადებდნენ, რაც სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს ემართებათ და განკურნებადია. განკურნებას თუ ექვემდებარება ისეთი დაავადებები, როგორიცაა თუნდაც შიზოფრენია და ფსიქიკური აშლილობა?

— მე, როგორც კლინიცისტი ვთვლი, რომ ადრე არსებული იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის სისტემა, კლინიკური თვალსაზრისით უფრო ეფექტური იყო. ადამიანები, რომლებიც ავადმყოფობის გამო ჩაიდინდნენ თუნდაც მძიმე დანაშაული, მათ რაღაც ხმები ესმით ხოლმე თავიანთი ბოდვითი იდეების გამო, ექვემდებარებოდნენ იძულებით მკურნალობას. ახლაც ასეა, მაგრამ ადრე იძულებითი მკურნალობა იქამდე გრძელდებოდა, სანამ მდგომარეობა მეტნაკლებად არ დასტაბილურდებოდა, ბოდვითი იდეები ასე თუ ისე ალაგდებოდა. მერე ამ პაციენტს უხსნიდნენ იძულებით მკურნალობას, ეს შეიძლება ყოფილიყო ექვსი თვის, ერთი წლის, წელიწადნახევრის შემდეგ. ახლა იძულებით მკურნალობას რომ შეუწყვიტავ და მისი ციხიდან გათავისუფლების საკითხი დგება, ბევრი უკმაყოფილოა, შურის მსგავსი გრძნობა ჩნდება. ამ კაცმა ჩაიდინა მკვლელობა, თუ ჯანმრთელ ადამიანს ამ დანაშაულისთვის 15-წლიანი სასჯელი ეკუთვნის, ეს ერთ წელიწადში რატომ არის გარეთო. თუ ამ ადამიანს ავადმყოფის სტატუსი აქვს და მკურნალობ, მისი დანაშაული მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული და არა სხვა მოტივაციით, გამოვიდა მდგომარეობიდან და რა ვქნათ, კიდევ 15 წელი ვუმკურნალოთ?

წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, დაზარალებულის ჭირისუფლის მესმის, ამ ადამიანმა ახლობელი მოუკლა და ერთ წელიწადში თავისუფლებაზეა. არცერთი მხარე რომ არ დარჩეს უკმაყოფილო, მაშინ ისეთი მექანიზმი უნდა იყოს შემოღებული, როგორიც უცხოეთშია, იქ ადამიანს განესაზღვრება სტატუსი, რომ სოციალურად საშიშია და საერთოდ არ უშვებენ გარეთ, რაც გამართლებულად მიმაჩნია.

რაც შეეხება ფსიქიკური აშლილობისა თუ შიზოფრენიის განკურნებადობას, დაავადებულებთა გარკვეული რაოდენობა ინკურნება, მაგრამ რას ვეძახით განკურნებას. რემისიის (ნათელი პერიოდი), დავარქვათ ამას სიმპტომების გარეშე პერიოდი, შეიძლება თვეების ან წლების განმავლობაში გაგრძელდეს, გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ არ განმეორდება, მაგრამ მეტნაკლებად სტაბილურად შეიძლება მიმდინარეობდეს. იმასაც აქვს მნიშვნელობა, დაავადების დაწყებამდე რა პიროვნებასთან გვაქვს საქმე და როგორ მიმდინარეობს ავადმყოფობა. ერთი და იგივე დიაგნოზით, ზოგი საერთოდ ვერ გამოდის მდგომარეობიდან, სხვა ადამიანი კი წლების განმავლობაში შრომისუნარიანია, სამსახურშიც დადის, თუ თავს კარგად მიხედავს, წამალს დროზე მიიღებს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აქვს რემისიის პერიოდი.

ადრე, ადამიანი მკვლელობას რომ ჩაიდენდა, ყველა ვარიანტში უტარდებოდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. სხვა დანაშაულის ჩამდენის ფსიქიკური მდგომარეობის ექსპერტიზის საკითხი მაშინ დგებოდა, თუ ძიების პროცესში გამოიკვეთებოდა, რომ ის ფსიქიურად ჯანმრთელი არ იყო, ანდა თუ არსებობდა დოკუმენტაცი, რომ როდესღაც გადიოდა ფსიქიატრიული მკურნალობის კურსს. არცთუ იშვიათად ისმებოდა მკვლელობის აფექტის მდგომარეობაში ჩადენის საკითხი. არსებობს აფექტის ორი სახე, ფიზიოლოგიური და პათოლოგიური, რაც სრულიად განსხვავებული ცნებებია. პათოლოგიური აფექტია, როდესაც ადამიანს სრულიად ებინდება გონება, მერე შეიძლება აღარც ახსოვდეს რა ჩაიდინა. რაც შეეხება ფიზიოლოგიურ აფექტს, ამას ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ერთად საზღვრავდნენ, სისხლის სამართლის კოდექსით არის დეფინიცია სასჯელზე, ვთქვათ მკვლელობისთვის 8-დან 10 წლამდე, ან 10-დან 15 წლამდე, თუ დადგინდებოდა, რომ ადამიანს დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჰქონდა ჩადენილი, მინიმალური სასჯელს უსჯიდნენ.

ადრე, ფსიქიატრს ცალკე უნდა გაევლო სპეციალური მომზადება და ამის მერე ენიჭებოდა ექსპერტ-ფსიქიატრის წოდება. მეც მაქვს გავლილი ეს კურსები და მივიღე სერთიფიკატი, მაგრამ ეს ბოლო ნაკადი იყო 2003 თუ 2004 წელს, მერე შეწყვიტეს ეს გადამზადება, რაც არასწორია.

ჩვენ საექსპერტო კუთხით ძალიან კარგი სპეციალისტები გვყავს, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებას გამოცდილი სპეციალისტი **დავით მაღრაძე** ხელმძღვანელობს, რომელიც წლებია ამ სფეროში მუშაობს, ისევე როგორც **იამზე სურგულაძე**. მე ახალგაზრდების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ მომავალი ექსპერტების სპეციფიური გადამზადება არ ხდება სასამართლო ფსიქიატრიაში, მერე კი გაერკვევიან და შეიძენენ გამოცდილებას, მაგრამ თავიდანვე უნდა ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა.

თქვენ უფლებადამცველების ექსპერტების მიმართ პრეტენზია ახსენეთ, აქ ერთი საგულისხმო გარემოებაა — არასამთავრობო სექტორს საშინლად ყავს „დატერორებული“ არა მარტო ექიმები, არამედ პოლიცია-პროკურატურა და სასამართლოც.

— არ ფიქრობთ, რომ პროფესიონალიზმზე მეტად, ნაციონალების ლოზუნგები „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი ციხეში“ მოქმედებდა ცხრა წლის მანძილზე, ამ შემთხვევაში რა საჭირო იყო „ზედმეტი“ ხარჯი, პატიმრების ფსიქიატრიული მკურნალობა?

— ამ მსჯელობას თუ გავტყვებით, მარტო ექსპერტები კი არა, პოლიცია-პროკურატურა და მართლმსაჯულებაც ათასგვარი ზეწოლის ქვეშ იყო. ექსპერტიც ადამიანია, ასეთი წნეხის ქვეშ, ხელისუფლებისთვის სასურველ დასკვნას დაწერ კი არა, მეტსაც იზამ. ერთი რამ გაითვალისწინოს ყველამ, ერთია ნომინალური საკანონმდებლო სივრცე და მეორეა რეალობა, ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

პატიმრების ფსიქიატრიულ მკურნალობას რაც შეეხება, ხონში არსებობს იძულებითი მკურნალობის დისპანსერი, რომელიც 300 თუ 400 პაციენტზეა გათვლილი. ადრე იყო მკაცრი რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის და ჩვეულებრივი რეჟიმის მკურნალობა, სამოქალაქო საავდმყოფოშიც გვყოლია პატიმრები. ეს ახლა აღარ არის, რაც ძალიან კარგია, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ იძულებაზე მყოფი პატიმრები ჯოჯოხეთად აქცევდნენ ხოლმე საავადმყოფოს თავიანთი ძველ ბიჭური, ხულიგნური საქციელით, იქ ხომ არც პოლიცია იყო და არც ბადრაგი. ახლა გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის იძულებითი მკურნალობა ერთ სივრცეში მოაქციეს და ხონშია განთავსებული. მთელი ქვეყანა შეძრა საშინელმა ტრაგედიამ, როდესაც ყოფილმა პატიმარმა გერს, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედას ყელი გამოჭრა. თქვენ მკითხეთ, მკვლელი წინა პატიმრობის დროს ფსიქიატრმა რატომ არ შეამოწმა, ნორმალური ადამიანი ასეთ საქციელს ჩაიდენდაო. რატომ უნდა შეემოწმებინათ, როცა მძიმე დანაშაულისთვის არ იხდიდა სასჯელს, თანაც გააჩნია ნორმას რას ვეძახით. ნორმა ის არის, რაც უფალმა დაგვიწესა, მაგრამ ეს არის ასე ვთქვათ, ყოფით პირობებში მიღებული

ნორმა და არა კლინიკური მიდგომა. როდესაც ადამიანი ასეთ საშინელ დანაშაულს ჩაიდენს არა ავადმყოფური, არამედ პირადი მოტივით, გაბრაზების ან შურისძიების მოტივით, გარკვეულწილად შეიძლება არანორმალურიც არის, მაგრამ კლინიკურ ფსიქიატრიაში მხედველობაში არ მიიღება. მას არ აქვს ავადმყოფური სიმპტომატიკა იმ დონეზე, რომ ამ სიმპტომატიკიდან გამომდინარე ჩაედინა. როგორც გითხარით, ფსიქიურად დაავადებულებს ხმები ესმით, ეს არის იმპერატიული ჰალუცინაციები, ამ ხმებს ემორჩილებიან. წლების წინ მყავდა პაციენტი, ახალგაზრდა რუსი ქალი, რომელმაც შვი-

ლები ნაჯახით დაჩეხა, რადგან ხმამ უთხრა თავი უნდა მოიკლა და შენი სული ამ ბავშვებშიაო. ეს არის სუფთა ავადმყოფური საქციელის დანაშაული, ხოლო ბაქრაძე რომ მიუვარდა გერს და ყელი გამოჭრა, ეს არ არის ავადმყოფური მოტივი, მას თავისი მოტივი ჰქონდა. არანორმალურად ჩაგთვლიან, ქრისტიანები რომ ხართ, მაგრამ ნუ გეშინიათ, მე თქვენს გვერდით ვარო. უკვე მივედით აქამდე. ორი ტვინამღვრეულის რაღაც ურთიერთობას ერთსქესიანთა ქორწინებას რომ დაარქმევ და დააკანონებ, უზარმაზარი სახელმწიფოს მაღალჩი-



ნოსანი რომ გამოვა და იტყვის, ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული მიმართულება საგარეო პოლიტიკაში, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვააო, უნდა იფიქრო, რომ ყველა არანორმა ნორმად იქცა. როდესაც ისეთ ფსიქიკურ გადახრებზე, როგორიცაა მამათმავლობა, პედარასტია, ზოოფილია, ნეკროფილია, პედოფილია და ა.შ. ნორმააო ვამბობთ, ეს ნორმალურია? მაშინ მოდით, საერთოდ გავაუქმოთ ფსიქიატრია, მაინც ყველაფერი აქეთ მიყავთ, ვიტყვი, რომ ეს ასეთი ორიენტაციაა და ესენი არიან მენტალური უმცირესობა. ოლიგოფრენია, დებილი, იმბეცილი აღარ არსებობს და ეს არის კოგნეტიური უმცირესობა. ასე შეგვიძლია ყველაფერს ნორმა დავარქვათ. ამ ყველა უბედურების აგიტაცია-პროპაგანდას არასამთავრობო სექტორის გარკვეული ნაწილი ძალიან აქტიურად ეწევა, ესენი არიან ხალხის მტრები. ამ უწიგნურებმა და საეჭვო ფსიქიკის ხალხმა თავიანთი არსებობა, რომ გაამართლონ, ვითომ ვიღაცის უფლებებს იცავენ. ჩვენ ხომ საერთოდ ჯვარს გვაცვეს, შემოგვივარდება ოცი კაცი, აბრიალებენ თვალებს,



ვეკითხები საერთოდ ვინ ხართ, წადით აქედან, როგორ შეიძლება საავადმყოფოში ასეთი სპექტაკლების დადგმა, მოიყვანენ მერე ტელევიზიებს და მიტინგებს გიწყობენ. ერთი სიტყვით, ძალა იგრძნეს, ფაქტობრივად ყველა დაშინებული ყავთ. ახლა ეს სექსუალური შევიწროება გაიხადეს „პრიორიტეტად“, ამერიკაში და ევროპაშიც ხომ ხედავთ რა ამბავია, ვიღაცას ხელი რომ გადახვია რომელიმე პოლიტიკოსმა 30 წლის წინ, ახლა უჩივიან. ისეთი საშინელი დიქტატურა, როგორიც ლიბერასტული დიქტატურაა, ფაშიზმის დროს არ ყოფილა. ვინც ამათ მოსაზრებას არ იზიარებს, ტურებივით დაესევიან, სამსახურის დაკარგვის შიშით, სახელმწიფო მოხელეები ამათ თავაშვებულობას წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ეს სექტა ჩინური „ბეღურათა მმუსვრელების“ და პოლ პოტის „წითელი ქხმერების“ ალიკვალია. ლიბერასტებს ლამის მთელი მსოფლიო აქვთ „დაპყრობილი“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„ომი დამთავრდა! მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!“

სულ რაღაც ათიოდე დღის წინ სამყარო გლობალური, შესაძლოა, ახალი მსოფლიო ომის დაწყების საშიშროების წინაშე იდგა. საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის კოალიციის მიერ სირიაზე მიტანილ საათნახევრიან შეტევას ფართომასშტაბიანი ომი არ მოჰყვა. საერთაშორისო სამხედრო ექსპერტების განცხადებით, კოალიციამ ამერიკელი გენერალიტეტის წყალობით შეძლო რუსეთის ჯარებთან პირდაპირი შეჯახების თავიდან აცილება. მათივე განცხადებით, აშშ-ის მაღალჩინოსანი სამხედროები თავიდანვე არ ეთანხმებოდნენ, როგორც ახლა გამოჩნდა, უაზრო შეტევის განხორციელებას.

ექსპერტების განცხადებით, სირიაზე შეტევა კალიციის პირველ პირებს თავიანთ ქვეყნებში არსებული პრობლემების გადასაფარად დასჭირდათ. ექსპერტების მოსაზრებას, რომ სირიაზე განხორციელებული შეტევის მიზეზი, რბილად რომ ვთქვათ, არარეალური იყო, გასულ კვირას მოსკოვში სირიის საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის სტეფან დე მისტურას განხორციელებული დაუგეგმავი ვიზიტი მეტყველებს. რუსეთს იგი მარტის ბოლოს სტუმრობდა, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სასწრაფოდ ჩავიდა რუსეთის დედაქალაქში. მოსკოვში სტეფან დე მისტურა ქვეყნის საგარეო და თავდაცვის მინისტრებს შეხვდა. დიალოგის დეტალებზე მხოლოდ მკითხაობა შეიძლება, თუმცა დე მისტურამ გააკრიტიკა კოალიცია სირიაზე განხორციელებული შეტევისთვის. ამასთან, უკმაყოფილება გამოთქვა ქიმიური იარაღის ამკრძალავი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების უმოქმედობის გამო.

კვირის ბოლოს, დასავლეთის პრესის ინფორმაციით, ექსპერტები ჩავიდნენ სირიის ქალაქ დუმაში, სადაც, სავარაუდოდ, განხორციელდა ქიმიური შეტევა და სინჯებიც აიღეს. მათივე ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, არ დასტურდება ქიმიური იარაღის კვალი. საბოლოო დასკვნას ლაბორატორიული კვლევების შემდეგ გამოაქვეყნებენ.

აშშ-ში კვლავ გააქტიურდა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საკითხი. გასულ კვირას დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ფედერალურ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. მათი აზრით, ჰილარი კლინტონს გამარჯვება დამნაშავეთა ჯგუფმა მოპარა. დემოკრატები თვლიან, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ: დონალდ ტრამპის გარემოცვას, მის საარჩევნო შტაბს, რუსეთის ხელისუფლებას და „ვიკილიქსის“ დამფუძნებელს ჯულიან ასანჯს. დემოკრატების განცხადებით, სწორედ მათ გაავრცელეს ჰილარი კლინტონის მაკომპრომეტირებელი მასალები პარტიის სერვერზე განხორციელებული ჰა-

კერული შეტევის შემდეგ. დონალდ ტრამპი კი აცხადებს, რომ სწორედ დემოკრატიული პარტიის საქმიანობაა გამოსაკვლევი, რადგან მათ დაუმალეს და თავის დროზე არ გადასცეს გამოძიების ფედერალურ ბიუროს მასალები ჰილარი კლინტონის შესახებ.

პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ტრამპის ადმინისტრაციაში ერთიანობა არ სუფევს, ამიტომაც ცდილობენ დემოკრატები, მის იმპიჩმენტს მიაღწიონ. მაგალითად ასახელებენ თუნდაც იმ გარემოებას, რომ გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ თეთრ სახლზე ადრე დააანონსა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება, მაგრამ ეს მის მოვალეობაში არ შედიოდა. როგორც ამბობენ, ამ ფაქტმა სასტიკად განარისხა დინალდ ტრამპი. ამიტომაც ცდილობს იგი, როგორმე გააძლიეროს თავისი გუნდი და სათანამშრომლოდ მიიწვია ნიუ-იორკის ყოფილი მერი რობერტ ჯულიანი.

დიდ ბრიტანეთში სკრიპალების საქმე ახლა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელმა კიბერშეტევამ ჩანაცვლა. თავად ინგლისელი პოლიტოლოგების განცხადებით, პრემიერი ტერეზა მეი ცდილობს, შეინარჩუნოს თანამდებობა. მალე ბრიტანეთში ადგილობრივი არჩევნებია, სადაც მმართველი კონსერვატიული პარტიის კრახს ვარაუდობენ პოლიტოლოგები და ამიტომ თვლიან, რომ ახლანდელი ხელისუფლება ცდილობს, ძირითადი აქცენტი გარეშე საფრთხეების ანონსირებაზე გადაიტანონ და ამით დამარცხება აიცილონ თავიდან.

გასულ კვირას ემანუელ მაკრონი ბერლინში ეწვია ანგელა მერკელს. საფრანგეთის ახალგაზრდა პრეზიდენტს დიდი ამბიციები აქვს. თურმე მას ევროკავშირის გადარჩენის გეგმა ჰქონია. ევროპელი პოლიტოლოგების ნაწილმა კი მოიწონა „მაკრონის გეგმა“ (როგორც შეარქვეს), მაგრამ გერმანელი პოლიტოლოგები მას არ ეთანხმებიან.

სირიის დაბომბვის შემდეგ მაკრონმა ამაყად განაცხადა, რომ შეტევის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა დაიძაბა. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მკაცრად უპასუხა: „...შესაძლოა, რაღაც საკითხებზე სხვადასხვა აზრი გვაქვს, მაგრამ ეს ჩვენს ურთიერთობაზე ვერ იმოქმედებს“. ერდორანი აშშ-ის უკმაყოფილოც არის, რადგან ამერიკელები ქურთ მებრძოლებს აწვდიან იარაღს. თურქეთის მხარე ამას მოკავშირე ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებად აფასებს. მოკავშირეობა ერთია, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, თურქეთმა აშშ-ის ფედერალური ბანკიდან წაიღო საკუთარი ოქროს მარაგი. მსგავსი რამ გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს შარლ დე გოლმა განახორციელა, რასაც საფრანგეთში რევოლუცია და მისი გადადგომა მოჰყვა.

გასული კვრირის მიწურულს ჩრდილოერთ კორეის ლიდერმა კიმ ჩინ ინმა კვლავ გააოცა სამყარო, ამჯერად, სასიამოვნოდ. როგორც მან განაცხადა, შეწყვეტს ბირთვული იარაღისა და რაკეტების გამოცდებს, გააუქმებს პოლიგონს. თუმცა, მისივე განცხადებით, უკვე შექმნილი იარაღი შეიარაღებაში დარჩება.

აპრილის ბოლოს კიმ ჩინ ინი სამხრეთ კორეის პრეზიდენტს მუნ ჯინ ინს შეხვდება, რომელთანაც პირდაპირი სატელეფონო კავშირი აქვს.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მებრძოლი შტაბის წევრები და სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი ნინო შეწირული ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. მათ მუნიციპალიტეტის მერს გააცნეს მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველი სამოქმედო გეგმა. მუნიციპალიტეტში ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი ოთხი ავტომობილი თერმული ნისლისა და ცივი შესხურების მეთოდით იმუშავებენ.

● კამპანია „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრებმა“, საქართველოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით, მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით დასუფთავების აქცია გამართეს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ კაჭრეთში, საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში“, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ინიციატივით, პროფესიული სწავლების პროგრამებში ეკონომიკის სექტორული განვითარების პრიორიტეტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის ასახვის თემაზე შეხვედრა გაიმართა.

„კაჭრეთის პროფესიული სასწავლებელი ერთ-ერთი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს და კარგი ბაზა შეიქმნას პროფესიული განათლების მისაღებად, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია უმუშევრობასთან ბრძოლისა და დასაქმების მიმართულებით“, – განაცხადა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის, სამინისტროების, კახეთის გუბერნიის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

● გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის დავით სონღულაშვილის მიმართვა:

მცირე მარნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო!

ჩემო გურჯაანელებო, იზრუნეთ ღვინის მცირე საწარმოს შექმნასა და განვითარებაზე. გამოიყენეთ სახელმწიფოს მხარდაჭერა და განავითარეთ როგორც საკუთარი ბიზნესი, ასევე ხელი შეუწყვეთ მეღვინეობის კულტურის კიდევ უფრო პოპულარიზებას არა მარტო ჩვენს რეგიონსა და ქვეყანაში, არამედ საზღვრებს გარეთაც!

დაინტერესებულებმა, შეგიძლიათ მიმართოთ გურჯაანში ჩემი ბიუროს წევრებს, რომლებიც აუცილებლად გაგიწევენ რეკომენდაციას მომავალი წარმატების მიღწევისთვის!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში გამართულ შეხვედრაზე არხილოსკალოში განხორციელებული მიწის სისტემური რეგისტრაციის სამუშაოები შეაჯამეს. ამ დროისთვის არხილოსკალოში 2 330 მიწის ნაკვეთიდან 1300-ზე მეტია რეგისტრირებული, სოფელ არბოშიკში კი 2 417 ნაკვეთიდან – 289. საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით უფასოდ შეასრულა. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება.

საზოგადოებრივ ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მიწის რეგისტრაციის მნიშვნელობაზე და იმ პროექტებზეც, რომლებიც მიმდინარე წელს არხილოსკალოში განხორციელდება: „დაიწყება ქედების ზონის სოფლების, ასევე ჭოეთისა და თავწყაროს გაზიფიცირების სამუშაოები. ეს არის მართლაც საშვილიშვილო საქმე, რადგან ქედებს არასდროს ჰქონია ბუნებრივი აირი. დაწყებულია არხილოსკალოსკალოს ახალი გზის მშენებლობა და სულ მალე თქვენ გექნებათ როგორც ზემო ქედთან, ისე ქვემო ქედთან დამაკავშირებელი საუკეთესო გზა. ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ისიც, რომ საბავშვო ბაღი გადავა ახალ შენობაში და თქვენი შვილები საუკეთესო პირობებში იქნებიან“.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის ტერიტორიაზე, ყოფილი პროფტექნიკუმის ბაზაზე, შარშან გაიხსნა კოლეჯი „აისი“. მოძველებულ შენობას სრული რეაბილიტაცია განათლების სამინისტროს დაფინანსებით ჩაუტარდა.

ამ ეტაპზე სასწავლებელში ორი მიმართულებით მიმდინარეობს სწავლება. კოლეჯის პირველი ნაკადის სტუდენტები მეტყევის და გიდის სპეციალობებს ეუფლებიან. 22 აპრილს კი დასრულდა მეორე ნაკადის სტუდენტების რეგისტრაცია. მიმდინარე წელს კოლეჯში 60-მდე სტუდენტი დაეუფლება პროფესიულ განათლებას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● სიღნაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება და ქალაქი ახალ ტურისტულ სეზონს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება. ცენტრალურ უბნებში განახლდება ქვაფენილი, ასევე ძველებური სახლების ფასადები, ხის ღობეები. საპროექტო სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან დაახლოებით 100 ათასი ლარია გამოყოფილი.

● სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში არსებულ ა(ა)იპ „ბრონწლიანის სათნოების სახლს“ კომპანია „ქართული ზეთისხილის“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა გიორგი სვანიძემ ას ორმოცდაათი ძირი ზეთისხილის ნერგი გადასცა. კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილემ ზურაბ არსენიშვილმა, მერმა გიორგი გოგილაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ხატიაშვილმა, გიორგი სვანიძემ შვილებთან და ბენეფიციარებთან ერთად, ნერგები სათნოების სახლის ტერიტორიაზე დარგეს.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაქარია ხეხელაშვილი ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულაჩაურში შარშან შექმნილი საფეხბურთო გუნდის – „ბულაჩაურის“ ფეხბურთელებს შეხვდა. ზაქარია ხეხელაშვილმა მათ საფეხბურთო მოედნისთვის საჭირო ინვენტარი გადასცა. გუნდი 2018 წლის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ პირველობაში მონაწილეობს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია „რუსთავი 2-ის ეთერში გასულ სიუჟეტს სიცრუის ტირაჟირებისა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობად აფასებს. ტელეკომპანიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ თ. დარასელიაზე მომზადებულ სიუჟეტში სიტუაცია ისე წარმოადგინა, თითქოს დარასელიების ოჯახს მერიისგან დღემდე არავითარი დახმარება არ მიუღია.

მერიაში აცხადებენ შემდეგს: თ. დარასელიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას დახმარებისთვის მხოლოდ 2015 წელს, უმწეო ოჯახების გათბობის საშუალებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მიმართა განცხადებით. მერიამ მისი განცხადება დააკმაყოფილა.

მუნიციპალიტეტის მერია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ კონკრეტული ოჯახისგან მუნიციპალიტეტში ამ დრომდე არ შემოსულა რაიმე ტიპის დახმარებაზე განცხადება.

ფოთის მუნიციპალიტეტში

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, პირველ მოადგილესთან მამუკა პაპასკირთან, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსთან ინგა მასხულიასთან, საკრებულოს მაჟორიტარებთან, ბექა ვაჭარაძესთან და თორნიკე კირთაძესთან ერთად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის სამშენებლო პროცესი დაათვალიერა. შვიდ ბრიგადაზე გათვლილი, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული ფილიალის მშენებლობა სულ მალე დასრულდება. ამჟამად მიმდინარეობს შიდა კოსმეტიკური სამუშაოები.

სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 339 ათასი ლარია.

ფოთი

ძლიერი საქართველოსთვის

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● სოფელ სალხინოში გაიმართა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა, რომელსაც კომიტეტის წევრებთან ერთად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციისა და რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სხდომაზე იმსჯელეს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების და სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების შესახებ. მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის (აზიური ფაროსანა) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე.

● მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-საალმზრდელო დაწესებულებათა ცენტრში შემავალ სალხინოს ბაღის აღსაზრდელების მშობლებს შეხვდა. შეკრებილებმა ისაუბრეს ბაღში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ სენაკში, ცერცვაძის ქუჩაზე, სპეციალური ტექნიკის გამოყენებითა და ფიზიკური საშუალებებით სანიაღვრე არხი შლამისა და ინერტული მასალისგან იწმინდება. სამუშაოების მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი გაეცნო.

ასეთივე სამუშაო, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მიმდინარეობს ასათიანის ქუჩაზე. შედეგად აღმოიფხვრება ამ ქუჩაზე მცხოვრებთა ეზოების დატბორვის პრობლემა, რომელიც წლებია აქაურ მოსახლეობას აწუხებდა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● ხაბუმეში მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა. მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ესებუა, მოადგილეებთან ერთად, დაინტერესდნენ გამოკვლევების მიმდინარეობით, შეხვდნენ პაციენტებს და გაეცნენ მათ საჭიროებებს.

უფასო სამედიცინო გამოკვლევებს საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაცია ახორციელებს. ადგილობრივებს სამი დღის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩაეტარებინათ საჭირო გამოკვლევები. მათ სხვადასხვა პროფილის ექიმებმა გაუწიეს მომსახურება.

აქცია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით ხორციელდება. სამედიცინო გამოკვლევები პერიოდულად მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც ჩატარდება.

● მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა კახა შელიამ, ამავე სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განყოფილების უფროსმა გელა ვეკუამ ტუბერკულოზის, შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. მერმა და ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორმა ნინო ჯომიდავამ პაციენტებს მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, რომელიც ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მასში მონაწილეობა ამ ეტაპისთვის 758-მა ბენეფიციარმა მიიღო.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი ქვემო ქართლის გუბერნიაში სამუშაო შეხვედრას დაესწრო, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა რეგიონისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან გამართა.

სოლომონ პავლიაშვილმა ყურადღება გაამახვილა სამინისტროს რეგიონალური წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტების ერთობლივი მუშაობის გააქტიურების აუცილებლობაზე. შეხვედრის მონაწილეებმა დიალოგის რეჟიმში განიხილეს ადგილზე არსებული საჭიროებები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. დაისახა სამომავლოდ ერთობლივად განსახორციელებელი გეგმები.

● ბოლნისის თეატრმა წელს პირველი საპრემიერო ჩვენება გამართა. დასმა მაყურებელს შესთავაზა ნოდარ დუმბაძის „ბოშების" მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომლის რეჟისორია ზურაბ ხვედელიძე.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს" ორგანიზებით და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სს „არდი ჯგუფის" წარმომადგენლებმა ადგილობრივ ფერმერებთან და მეწარმეებთან გამართეს შეხვედრა, რომელსაც „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს" თანამშრომლები, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი ფერმერები დაესწრნენ.

შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა ფერმერებს გააცნეს აგროდაზღვევის პირობები და საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, მათ მიერ შეთავაზებული აგროდაზღვევით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი ფერმერები და მეწარმეები უკვე სარგებლობენ.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ პირთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

ასეთივე შეხვედრები ქვემო ქართლის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში დასუფთავდა დათვების ტყის მიმდებარე ტერიტორია. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის, მწვანე ბილიკის, თეთრიწყაროს კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები.

● გოლთეთსა და დიდ თონეთში საინიციატივო ჯგუფები ჩამოყალიბდა. ამ სოფლებში მუნიციპალიტეტის მერიასა და ფონდ „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან სამუშაო შეხვედრა გამართეს ფონდის წარმომადგენლებმა.

ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები, ორივე სოფელში გამოვლინდა თემისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი პრობლემები და შერჩეული პრობლემების მოგვარების მიზნით დაისახა შემდგომი გეგმა სამიზნე თემის, კავკასიური ინსტიტუტის და ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობით.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი დამოუკიდებელ თურქ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (MUSIAD) თბილისის წარმომადგენლობის ოფიციალურად გახსნის ცერემონიას სტუმრის სტატუსით დაესწრო.

ღონისძიება თბილისში ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში გაიმართა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი, საქართველოში თურქეთის ელჩი ფატმა ჯერენ იაზგანი, პარლამენტის დეპუტატები მარნეულიდან რუსლან გაჯიევი, მახირ დარზიევი და სხვა მოწვეული სტუმრები.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განმარტეს, ოფისის გახსნის მისიას საქართველო-თურქეთს შორის ბიზნესთანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენს. შეხვედრაზე დაანონსდა სამომავლო აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც თურქ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია საქართველოში გეგმავს.

● მუნიციპალიტეტის მერიაში, ხორცის სექტორში მომუშავე ბიზნესოპერატორებთან, ხორცის მაღაზიებისა და სასაკლაოს მეპატრონეებთან სამუშაო შეხვედრა ქვემო ქართლის გუბერნიის, სურსათის უვნებლობის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. დამსწრე აუდიტორიას გააცნეს ინფორმაცია თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ, რაც ამ სექტორში მომუშავეებს დაეხმარება დანერგონ სურსათის უვნებლობის ნორმები და ეფექტიანად წარმართონ თავიანთი საქმიანობა.

შეხვედრის მონაწილეებს კიდევ ერთხელ გააცნეს ბაზარზე გატანილი საქონლის ხორცის, საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირებისა და ბიზნესოპერატორის ვალდებულებები.



ბრბოში ჩაკარგულები



თუ, ხალხის მასების ქვეცნობიერება მიმართულია სიკეთისაკენ, აღმშენებლობისკენ, მაშინ ხალხის ეს გენერირებული ენერგია დედამიწაზე ახდენს სტაბილურ, კეთილგანწყობილ, დადებით გავლენას, სხვანაირად მოქმედებს ჩვენს პლანეტაზე დამანგრეველი გრძნობები და სურვილები, ამის შედეგია ატმოსფეროს ციებ-ცხელება, ციკლონები, მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, წყალდიდობები და სხვა.

კაცობრიობისათვის კიდევ უფრო სახიფათოა, როცა სახელმწიფოს სათავეში მოდიან ადამიანები, რომელთაც მიზანია გაანადგურონ დადებითი მუხტი არა მხოლოდ ცნობიერებაში, არამედ ქვეცნობიერებაში. ამ დროს მთელი ერის სულში იბუდებს სიძულვილი და ყოველგვარი პრობლემის გადაჭრა ომის მეშვეობით ხდება, რომლის შედეგები სწრაფად აისახება პლანეტაზე, მის კლიმატზე, ირღვევა პლანეტის ჰარმონიული განვითარება. ცნობილია, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა მისი ხელახალი გადანაწილებისათვის. ქვეყნის სათავეში მოექცნენ ინტელექტუალურად დაბალი და სახელმწიფოებრივად მოუმზადებელი პიროვნებები. ამის შედეგია გაჩაღებული სისხლისმღვრელი ომები, უამრავი ლტოლვილი. მიმდინარეობს ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტები, რომელიც მოიცავს ადამიანთა უზარმაზარ მასებს. სპეციალისტების დასკვნით, რადგანაც საზოგადოების სოციალური კატაკლიზმების კავშირი სტიქიურ უბედურებასთან ადამიანთა ემოციების აფეთქებაა, ამიტომაც აუცილებელია შეიცვალოს ადამიანთა აზროვნება და „გაიწმინდოს“ მისი ფსიქოემოციური და ენერგეტიკული ველი. სამწუხაროდ ბნელი ძალები რომლებიც დღეს მსოფლიოს სადავეები უპყრიათ ხელთ, სწორედ ადამიანების ფსიქიკით მანიპულირებენ, ძალას და ენერგიას არ ზოგავენ ქაოსის, გაუგებრობის და შუღლის დასათესად. რევოლუციების მათ შორის ფერადის, სამართავად აქტიურად იყენებენ კარგად დახვეწილ ტექნოლოგიებს. (ბრბოს ფსიქოლოგია) ერთად შეკრებილ ადამიანთა მასას გარკვეულ პირობებში შეუძლია ისეთი ძლიერი კოლექტიური ემოციის ამოაფრქვევა რომლის კონტროლიც შეუძლებელია და რომელიც ადამიანებს უჩვეულო მოქმედებისაკენ უბიძგებს. აღგზნებულ მასას თავის გზაზე ყველაფრის წალეკვა შეუძლია. ადამიანთა ჯგუფი, რომლის ქცევაც დამყარებულია ინსტიქტურ იმპულსებზე გავლენის ქვეშ შეიძლება მოაქციოს ნებისმიერი ადამიანი, თუნდ ისეთი პიროვნებაც რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სიკეთის სამსახურში იდგა, ბრბოში მოხვედრილები ხშირ შემთხვევაში კარგავენ საღად განსჯის უნარს ადამიანთა მასას რომელიც საღად ვერ აღიქვამს მოვლენებს და დაკარგული აქვს გააზრების უნარი, უმართავია და შეუძლია გაანადგუროს ყოველივე თუნდაც ეს ადამიანის სიცოცხლეც იყოს რომელიც ფასდაუდებელია და განუმეორებელი მიუხედავად იმისა, დამნაშავისაა ის თუ არა. მაგრამ როდესაც ბრბო ცხრება და მასში მყოფი ადამიანები თავიანთ ადამიანურ სახეებს იბრუნებენ, თითოეულ მათგანის გულში ჩნდება სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გრძნობა, როგორც ეს მოხდა იმ ბრბოს შემთხვევაში, რომელმაც სრულიად უდანაშაულო მარიტა, რომელიც კეთილი და ულამაზესი არსება იყო და რომელსაც თითოეული მათგანი წარსულში დიდ პატივს სცემდა, უსამართლოდ დასაჯა და სიცოცხლე მოუსწრაფა.

ადამიანის მთელი სიცოცხლე, მასში ბოროტისა და კეთილის ჭიდილია, რომელიც სხვადასხვა დოზით ვლინდება ადამიანის ხასიათში. სწორედ ეს ფაქტორი თამაშობს დიდ როლს ბრბოს ქცევაში. ბრბოში მოხვედრილ ადამიანში ბოროტი მძლავრობს, რომელიც ხშირად ისეთ რამეს აკეთებინებს ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სირცხვილის ლაქად ამჩნევია.

გარდა ამისა არსებობს ბრბო, რომელიც არა წუთებით და წამებით არის გონება დაბინდული, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე. (მიშას კარვის ქალები) იგი ისეთი დაბრმავებულია გონებრივად, რომ ველარ ანსხვავებს მისთვის სასიკეთოსა და საზიანოს. და რაც მთავარია, სურვილიც არ აქვს გამოღვიძების, უფრო მეტიც, იგი ებრძვის ყოველივეს რამაც შეიძლება თვალი აუხილოს, სწორედ ასეთ ბრბოსთან მოუხდა დათა თუთაშხიას შეხვედრა და როდესაც მან მათი გონზე მოყვანა განიზრახა, მათ მტრულად მიიღეს მისი სიტყვები და მადლობის მაგიერ სასტიკად სცემეს...

ბრბოს ყოველთვის ყავს წინამძღოლი, რომელსაც ბრბოს ყველა ინდივიდი ემორჩილება. ბრბოში ბელადი მხოლოდ წინამძღოლია, მისი როლი მნიშვნელოვანია, მისი ნება არის ბირთვი, რომლის გარშემო ერთიანდება აზრები, თუმცა წინამძღოლი ხშირ სმთხვევაში არ მიეკუთვნება მოაზროვნეთა რიცხვს, ისინი მოქმედების ადამიანები არიან. წინამძღოლები ძირითადად ფსიქიკურად გაუწონასწორებელი სიგიჟის ზღვარზე მყოფი ნახევრად შეშლილი ადამიანები არიან, ხელმძღვანელის ძალაუფლება მეტად დესპოტურია, მაგრამ სწორედ ეს დესპოტიზმი აიძულებს მათადმი მორჩილებას. მოკლედ, ჩვენს მეზობელ სასომხეთში როგორ დაიწყო და რით დამთავრდება „ზებრების“რევოლუცია შეიძლება დავაკვირდეთ ბრბოს მანიპულაციას. გვერდიდან უფრო თვალსაჩინოთ ჩანს მიმდინარე ფაქტები და მოვლენები. რეჟისორის „ღრმა“ ჩანაფიქრიც...საინტერესო მოვლენაა ჯგუფური აზროვნებაც რომელიც ვლინდება ყველგან, სტადიონებსა და რეკლამაში, მიტინგებსა თუ თათბირებზე. წარმოიდგინეთ, რომ თათბირს ესწრებით, რომელზეც მნიშვნელოვანი თუ რუტინული სამსახურებრივი საკითხები წყდება. ყველა ერთსულოვანი ჩანს და გადაწყვეტილებაც ერთხმად მიიღება. გასვლისას კი, თქვენი კოლეგა ჩუმად გეუბნებათ, რომ არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას. ნუთუ ასეთ დროს არ გიკვირთ, ღიად რატომ ვერ გამოთქვა აზრი თქვენმა თანამშრომელმა? ფსიქოლოგმა **ირვინგ ჯენისმა** შეისწავლა, თუ რა გავლენას ახდენდა ჯგუფური აზროვნების ფენომენი, ამერიკის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. კლასიკურ მაგალითებად იქცა, ტრუმენისა და მისი გარემოცვის გადაწყვეტილება კორეაში ომის დაწყების თაობაზე, და ასევე, კენედისა და თეთრი სახლის ექსპერტების თათბირები, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კუბაში ინტერვენციის შესახებ, ეგრედწოდებული პლაია-ხირონის ოპერაციის ჩატარების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ საკითხების კოლექტიური განხილვისას, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში უამრავი ფაქტორი გვიშლის ხელს, იქნება ეს ელემენტარული კონფორმიზმი, სტერეოტიპული აზროვნება, ავტორიტეტის წნეხი და ამიტომ ჯენისის თეორია მთლად უნაკლო არ გვეჩვენება, მაგრამ, ჯენისი თავის ნაშრომში დამატებით ფაქტორებს გამოჰყოფს, რომლებიც სხვანაირად ძნელად თუ აიხსნება. ჯენისი ხაზს უსვამს, რომ ჯგუფური აზროვნების ფენომენი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრები ერთსულოვნების განსაკუთრებულ ფასს აცნობიერებენ. მართლაც, ორგანიზაციული ფსიქოლოგია გვკარნახობს, რომ ნებისმიერ სამსახურში კოლექტივის ერთსულოვნება უაღრესად მნიშვნელოვანია, პოზიტიური სამუშაო განწყობის შესაქმნელად, თანამშრომლების ჩართულობისა და შრომისუნარიანობის გასაზრდელად. ერთსულოვნება კრავს ჯგუფს დასახული მიზნის ირგვლივ.

უცნაურია, რა მოსდის მრავალ განათლებულ, პროფესიონალ ადამიანს, როდესაც ისინი სათათბირო მაგიდას მიუსხდებიან?ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ჯგუფური აზროვნება სამყაროსთან ადაპტაციის გამომუშავებულ სქემას წარმოადგენს. ბუნებაში ჯგუფური ქცევა გვხდება პრაქტიკულად ყველგან, ის მკაფიოდ ვლინდება ცხოველებისა და თევზების ქცევაში, ხოლო ადამიანი, ევოლუციის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, სულ ცოტა ხნის წინ გამოეყო (თუკი გამოეყო საერთოდ?!) ცხოველურ სამყაროს და შესაბამისი ინსტიქტები კვლავაც ძალიან ძლიერი გვაქვს. შესაბამისად, ცხოველური ინსტიქტი ჯგუფში ყოფნას და ჯგუფისთვის (ჯოგისთვის) დამახასიათებელი წესების დაცვას გვაიძულებს. რას ნიშნავს ეს?ჯგუფი იმთავითვე გარკვეული იერარქიის არსებობას გულისხმობს. ჯგუფის თითოეულ წევრს, ჯგუფში გარკვეული ადგილი უკავია, ზოგი ჯგუფის ლიდერად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები მომდევნო საფეხურებზე იკავებენ ადგილს. ცხოველურ სამყაროში საფეხურის შენარჩუნებას ან უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ცხოველთა სამყაროში იერარქიაში მაღლა დგომა, საკვებზე, გამრავლების შესაძლებლობებზე უკეთეს წვდომას ნიშნავს. სწორედ ამიტომ ჯოგის, ხროვის, პრაიდის თითოეული წევრი გაშმაგებთ იცავს საკუთარ ადგილს ჯგუფში და გამუდმებით ცდილობს იერარქიაში უფრო მაღალი პოზიცია დაიკავოს. სამწუხაროა, მაგრამ ადამიანთა ჯგუფშიც ანალოგიურ სურათს ვაწყდებით. საკმაოდ ხშირად ჯგუფში დაბალი რანგის მქონე პირი, უსიტყვოდ ემორჩილება იერარქიის სათავეში მყოფებს, მაგრამ, იმავდროულად, მაქსიმალურად ავიწროვებს მასზე ქვემოთ მდგომებს. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ისეთ მკვეთრად სტრუქტურირებულ კოლექტივებში, როგორიცაა, მაგალითად, ჯარი ან კრიმინალური სამყარო.

შემთხვევითი არაა, რომ ჯგუფურ აზროვნებაზე აპელირებდნენ და, ახლაც აპელირებენ, პოლიტიკოსები, სამღვდელოება თუ სხვა სულიერი ლიდერები.

თუკი უმრავლესობა რამეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს, ეს სულაც არ არის სიმართლის გარანტია, რადგან არც თუ ისე დიდი ხნის წინ, უმრავლესობა თვლიდა, რომ დედამიწა ბრტყელია და მზე მის გარშემო ტრიალებს. დიახ, უმრავლესობის ხათრით, კოსმოსური წესრიგი არ იცვლება. ინდივიდუალურმა განსხვავებებმა შეიძლება ახსნას, თუ რატომ კარგავს ადამიანთა ერთი კატეგორია სწრაფად საკუთარ პრინციპებს და ჯგუფის მოქმედების ზეგავლენას ექვემდებარება, სხვები კი არა, მკვლევარებმა ასევე ივარაუდეს, რომ ასეთი ადამიანები ძნელად აღმოაჩენენ საკუთარ თავს ფოტოსურათზე. საერთო ჯამში მიღებული მონაცემები ადასტურებენ ცნობილ დაკვირვებას, რომ არიან ადამიანები რომლებიც მზად არიან გაჰყვნენ უმრავლესობას და არიან ისეთებიც ვისაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს კოლექტიური მოქმედებების მომზიბვლელობას, მაგრამ ლაპარაკია არა საკუთარი შეხედულებების წინასწარგამიზნულ გამყიდველობაზე-ისინი ბრბოში უბრალოდ ქრებიან. საინტერესოა როგორ ჩნდება მორალური პრინციპების მივიწყების უნარი, რა როლს თამაშობს აღზრდა და შეიძლება თუ არა საკუთარი ძალისხმევით შეცვალო საკუთარი ტვინის განწყობა...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მათ საქართველოს პრეზიდენტობა დამშვენდებოდათ!

გიორგი მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ უგორებს „შავ პიარს“, თორემ როგორც აქამდე აირჩიეს საქართველოს მოქალაქეებმა საქართველოს პრეზიდენტად, ასევე აირჩევენ მეორე ვადით.

მარგველაშვილის გარდა კიდევ არის რამდენიმე პირი, რომლებსაც ჯერათ, რომ პრემიერობა არ აცდებათ.

მათი დასახელება და მოკლე დახასიათება გნებავთ? – კი, ბატონო!

ავტორი სიტყვებისა: „ორი ამოუხსნელი ამოცანა აწუხებს კაცობრიობას: არის თუ არა სიცოცხლე მარსზე და რამდენი ამომრჩეველია საქართველოში.“

თუ მაინც ვერ მიხვდით, წაგაშველებთ: „ახლა თქვენ გჯერათ, რომ დუშეთში მოიგო ვალოდია ჯინჭარაძემ, რადიატორთან რომ ზის და შალვა ნათელაშვილმა წააგო?“

რეალურად, ბატონი ნათელაშვილისთვის მნიშვნელობა არ აქვს – თუ წააგებს საპრეზიდენტო არჩევნებს, იტყვის რომ კრებსითმა ვალოდია ჯინჭარაძემ გაუყალბა; ხოლო თუ მოიგებს, მაინც იტყვის რომ მათვე გაუყალბეს. ოსე, საინტერესოა, სასწაული რომ დავუშვათ – პრეზიდენტად არჩეული, პარლამენტისა არ იყოს, არც ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში შევა?

ბატონ ნათელაშვილზე იმდენი საოხუნჯო მარგალიტის გახსენება შეიძლება, მისი პიარი გამოვა. აფსუს, რა კომიკოსი ჩაკლეს მისი სახით...

პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი – „შეტუსული ზღვის გოჭი“ უძახეთ თქვენ და „გირჩი ბიძიასაც“ რა დაძარღვული ამბიციები ჰქონია? მხოლოდ ისაა გაურკვეველი, თუ ვინიცობაა მართლაც გახდა საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო დროშაზე პლანის ფოთლის გამოსახვის იდეა ხომ არ აქვს გამზადებული?

ამ ფონზე შესაძლოა ნერვული შოკი დაემართოს და სადმე, რომელიმე კლინიკაში გადასასვენებელი გაგვიხდეს კიდევ ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი, ამჯერად სერიოზული და მოკრძალებული, მხოლოდ, მარტივი რებუსების მოყვარული, პოლიციელებისგან უმოწყალოდ „ნაგვემნაცემი“, „ტანჯულა“ სანდრო. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დიდი ასოებით რომ გამოაქვეყნა: „ქართულ მარშს“ საპრეზიდენტო კანდიდატი ეყოლება. საკმაოდ სერიოზული კანდიდატი! დეტალებს მისი ნებართვის გარეშე ჯერ ვერ გავასაჯაროვებ!!!“ საზოგადოება ინტერესში ჩავარდა, ნეტავ, ვინ არის ის მხსნელიო. ვინ აცადა რებუსით ტკბობა ამდენ ხალხს, მცირე ხანში მეორე განაცხადი მოფინა ფბ-სივრცეს: „ქართული მარში“ საპრეზიდენტო კანდიდატად დააყენებს ჩემს კანდიდატურას!!!“

მიშველე ნიკოლოოოზ! მართლა გადასარევი შემთხვევაა, მხოლოდ ნიკოლოზი კი არა, ავლიპიც რომ დაინტერესდებოდა – „მისი ნებართვის გარეშე“ ვერ ვიტყვიო, მაგრამ ახლა ავიღე ნებართვა და მე ვარ ჩემივე ნებართვით ის სერიოზულიო...

ისე, „ტანჯულას“ კი აირჩევდა ერი, მაგრამ როგორც თავადვე ამბობს, საქართველოს პოლიცია ძალზე ემტერება, აწამებს გამიზნულად და შიგა და შიგ ცუდად რომ გახდეს, ხომ დავიღუპებით?

თუ „ტანჯულამ“ ვერ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, სავარაუდოდ, ისევ სოციალური ქსელითვე შევიტყობთ რომ პოლიციაში აწამეს, თორემ იგებდა...

კიდევ ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი გამოჩნდა, ოღონდ, ვერაფრით გავარკვიე „როგორ მოხვდა აქა“. გვარ-სახელი მშვენიერი აქვს – ნიკოლოზ ლეკიშვილი. რაც ეს ინფორმაცია მომწვდა, მთელი დღე იმას ვარკვევდი, „ეს“ ნიკო ლეკიშვილი „ის“ ნიკო ლეკიშვილი იყო თუ სხვა ნიკო ლეკიშვილი, მაგრამ არავინ იცოდა, თვით ამბის მომტანმა ჩიტმაც. ბოლოს ვიპოვე ვიღაც ღვთისნიერი და ცოტა დამაკვალიანა, არა „ეს“ „ის“ არ არის, „ეს“ 38 წლისაა. რას ჩივა-მეთქი? რას ჩივა და, სპორტის, კინოსა და ტურიზმის განვითარებით 27 მლრდ დოლარის მოგების მოტანა უნდა საქართველოსთვის და ამას ვერ ახერხებს თუ პრეზიდენტი არ გახდაო.

გააზაროს ღმერთმა, კარგი სურვილი ჰქონია თუ მხოლოდ ეს უნდა, მაგრამ შევწუხდი კიდეც, ერთგვარად პლაგიატად ხომ არ ჩაუთვლიან?

რატომ ვფიქრობ ასე და ვისაც არ გახსოვთ, გაგახსენებთ – გვყავდა 2013 წელს პრეზიდენტობის კანდიდატი ნიკოლოზ გორგიჯანიძე (დრო კიდევ არის, იქნებ ახლაც მოისურვოს პრეზიდენტობა?) რომელიც სწორედ ტურიზმის აღორძინებაზე იყო ორიენტირებული და თან ძალზედ ორიგინალური ხედვა ჰქონდა სხვებისგან განსხვავებით, ისევე როგორც სახალისო ოცნებები და ფრაზები – „მე ვარ ერთი, კენტი, ბავშვებისთვის – პრეზიდენტი“.

ამოსავალ წერტილად ზიუგანოვი ჰყავდა, არჩევნებში 30% მიიღო, რაც ის 40 მლნ რუსია, რომელიც სტალინზე აბოდებსო. ჰოდა, ჩვენ სტალინი და ბერია ისე უნდა ავამაღლოთ, რომ მათ ინტერესი გაუჩნდეთ და ჩამოვიდნენო. მაგალითად, უნდა გავაკეთოთ ლავრენტი ბერიას სახლმუზეუმი, წინ – ძეგლით, სოჭიდან გამოსულ ავტობუსს კი ეწერება „ბერიადან-სტალინამდეო.“ აფხაზეთში ჩამოსული ტურისტები ზუგდიდის უშველებელ ბაზარში მიჰყავდა ხილ-ბოსტნეულის რუსეთში წასაზიდად, ჩხოროწყუელი და წალენჯიხელი გლეხები თითო ტურისტული ავტობუსიდან 50-60 ლარს იხეირებენო. თელავში სტალინის მამის საფლავისთვისაც მიუგნია – პირველ ჭიქა ღვინოს უფასოდ დავალევინებ და მომდევნო 2 ლარი ეღირება, რუსს კიდევ, ორ ჭიქაზე რა გააჩერებს, წარმოგიდგენიათ რამხელა შემოსავალს მოგვიტანსო? კაცო, სტალინი კი არ მიყვარს, ფულის გაკეთებას ვაპირებ მისითო... ახლა, სამაჩაბლოსთვის რა „ანკესი“ ჰქონდა, სხვა საკითხია... მთავარი ის იყო, რომ არაფრით არ უნდოდა გამარჯვება, ღმერთმა დაიფაროს ამისგან საქართველოო. მე ღარიბებისთვის მოვდივარ და თუ გავიმარჯვე, მაშასადამე ღარიბები ბევრნი ყოფილან და ეს ცუდიაო.

ღმერთის ხსენებაზე საქართველოს პრეზიდენტობის კიდევ ერთი მსურველი გაახსენდება ადამიანს – გელა სალუაშვილი, რომლის გადაწყვეტილება უცნობია 2018 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ბოლო ჟამი რომ არის, ხომ უნდა შემოგვიძახოს ვინმემ და თუ არა ბატონმა სალუაშვილმა, სხვამ – ვინ?

მართალია, „რუსთავი-2-მა“ პროექტ „ნიჭიერის“ სცენაზე გამოსული პრეზიდენტობის კანდიდატი, ბატონი სალუაშვილი დამონტაჟებული კადრებით მასხრად ააგდებინა მაყურებელს, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს – საქართველოს უდიდეს სულიერ მისიაზე მოსაუბრე პრეზიდენტი ვის უნდა? თუ გვინდოდა, გვყავდა და ვერ გავუფრთხილდით, პირიქით, სულეთის გზას გაუყენეს...

ერთი, მამცნეთ, ბატონი როინ ლიპარტელიანი სადღა დაგვეკარგა თავისი შავი ცხენით? კაცი ამბობდა, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ცოცხლები რომ იყვნენ, ასეთი შეთანხმება გვქონდა, პრეზიდენტი მე უნდა გავმხდარიყავი, რადგან პირველ პრეზიდენტს აუცილებლად მოკლავდნენო... სრულიად საქართველოს თუ ერთი პირის ზვარაკობას გადარჩენილი ბატონი როინი ხომ კარგად ბრძანდება?

გიორგი ჩხეიძე

რა მანძილია მენდელსონის მარშიდან სამგლოვიარო მესამდე?

რა მანძილია სიყვარულიდან სიძულვილამდე, რა მანძილია მენდელსონის მარშიდან სამგლოვიარო მესამდე და რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო ადამიანებში მოძალებული აგრესიის შეჩერებას? გვესაუბრება ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის იურისტი მანანა ფურცხვანიძე:

— ქალბატონო მანანა, ძალადობრივი დანაშაულის თემაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გაქვთ. როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა შემაკავებელ ორდერად წოდებულ ფარატინა ფურცელს ძალადობის მსხვერპლის რეალურად დაცვა?

— ვაკეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა შედგა, სადაც იგივე კითხვა დაისვა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რატომ დასჯერდა პოლიცია შემაკავებელ ორდერს და რატომ არ დაიწყო სისხლის

სამართლებრივი დევნა, მაგრამ ეს ძალიან რთული საკითხია.. ზოგჯერ ადამიანები სათქმელს ბოლომდე არ ამბობენ. ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ ითქვა, რომ მოძალადე მამაკაცი ქალს შვილის მოკვლით ემუქრებოდა. განცხადებაში, რომელიც პოლიციაში დაიწერა, იმისთვის, რომ შემაკავებელი ორდერი შვილის მიმართაც გამოცემულიყო, არაფერი იყო წარმოდგენილი, ამიტომ ორდერი მხოლოდ დედაზე გამოიცა. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილს ბოლომდე გააზრებული არ აქვს რას ნიშნავს დამცავი და შემაკავებელი ორდერი. როგორც კი პოლიციის ჩართულობაზე მიდგება საქმე, მსხვერპლი ხშირად უკან იხევს, რომ მოძალადე სასჯელს აარიდოს. ამ დროს ის მოძალადის ინტერესებს საკუთარი და შვილების ინტერესებზე წინ აყენებს. რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა ადამიანი, რომელმაც მითხრა, რომ მოპირდაპირე კორპუსიდან ესმის, როგორ სასტიკად ცემს შვილი მოხუც დედას. როგორც ხშირად ხდება, დედას ამბის გახმაურება არ სურს და დამცირებას წლების მანძილზე ითმენს. ძალადობა ყველაზე ხშირად ოჯახის წევრებს შორის ხდება და უფრო იმიტომაა საშიში, რომ ამის გახმაურებას ერიდებიან და ოჯახის წევრს პატიმრობისთვის ვერ იმეტებენ.

— ძალადობის მსხვერპლს შიში აიძულებს, რომ რაღაც დამალოს, რაღაც მოითმინოს და არ გაამხილოს. ფიქრობ, რომ შემაკავებელი ორდერი და პოლიცია მუდმივად ვერ დაიცავს და საბოლოოდ, ისევ მოძალადის პირისპირ მოუწევს დარჩენა.

— თუ ძალადობის მსხვერპლმა საკუთარი თავის დაცვა თავად არ მოინდომა და პოლიციას სრულყოფილი ინფორმაცია არ მიაწოდა, არ ვიცი რა საშუალებით შეიძლება მისი დახმარება, რადგან ამისთვის მოქნილი მექანიზმები კანონშიც არ არის. შემაკავებელი ორდერი უფრო პრევენციული ღონისძიებაა და როცა დასჯაზეა საუბარი, აუცილებლად მტკიცებულებებია საჭირო. თუნდაც მოხუცი, რომელზეც შვილი ძალადობს, თუ ამ ადამიანმა კარი არ გაგვიღო, სხეულზე მიყენებული დაზიანებები არ გვანახა და გარკვეული მტკიცებულებები არ შეგროვდა, ვიღაცის ნათქვამი საკმარისი არაა, რომ ადამიანს ბრალი წაუყენონ. შემაკავებელი ორდერიც რომ გამოიცეს, ორივე მხარის დაბარება და გამოკითხვა იქნება საჭირო. ბუნებრივია, ასაკოვან ადამიანს, რომელიც არავისგან დახმარებას არ ელის, სახელმწიფო სტრუქტურები შვილისგან მუდმივად ვერ დაიცავენ, ამიტომ უნდა მოხდეს ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა, მოძალადე შვილის სახლიდან გაყვანა და უამრავი ერთმანეთზე გადაჯაჭვული მოქმედება.

— ჩემს ბავშვობაში ცოლის მკვლელობა კი არა, ოჯახის დანგრევაც იშვიათობა იყო. ზოგჯერ, ისეთი განცდა მაქვს, რომ რაც უფრო მეტს ვსაუბრობთ ქალის უფლების დაცვაზე, მით უფრო იზრდება ქალის მიმართ მამაკაცის აგრესია.

— ის რომ ადრე ვიღაც იმაზე მეტად ითმენდა, ვიდრე დღეს და ოჯახები ნაკლებად ინგრეოდა, ერთი საკითხია, თუმცა არ მგონია, რომ ადრე ძალადობა ასეთი მასშტაბით და ასეთი სასტიკი ფორმებით იყო გავრცელებლი. ჩვენ გენდერული თანასწორობის მხარეს ვართ და ვამბობთ, რომ ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლი თანაბარი უნდა იყოს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ როცა კაცს მარჩენალის როლი ჰქონდა, დასაქმებული იყო და ოჯახის წევრებზე ზრუნავდა, ამით იყო დაკავებული და ძალადობაზე ნაკლებად ფიქრობდა. ახლა უმუშევრად დარჩენილმა და ფუნქციადაკარგულმა მამაკაცებმა მთელი ვალდებულებები ქალს დააკისრეს და ზოგიერთი საერთოდ აღარ ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. არარეალიზებულ კაცს, რომელმაც მარჩენალის ფუნქცია დაკარგა, კომპლექსები უჩნდება და ვერ ეგუება, რომ ცოლმა უკეთეს მდგომარეობას მიაღწია. ამან ეჭვიანობა და აგრესია გამოიწვია, თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ გახლავთ.. აგრესიისა და ძალადობის მატების უამრავი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ და პრობლემის გარშემო, წრეზე ვიტრიალოთ. სამწუხაროდ, ძალადობრივი დანაშაულისთვის გასამართლებული ადამიანებისთვის დღემდე არ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამები. ასეთმა ადამიანებმა თუნდაც იძულების წესით, მაგრამ აუცილებლად უნდა გაიარონ ფსიქოლოგიური კურსი, რომ შეცვალონ თავიანთი ქცევა. საკუთარი სურვილით ამაზე თითო-ოროლა ადამიანი თუ თანხმდება, უმეტესობა კი ფსიქოლოგს და ფსიქიატრსაც ვერ ასხვავებს და ამბობს, რომ ფსიქიატრი არ ჭირდება. ვფიქრობ, რომ მოძალადეების მიმართ საზოგადოების მიდგომაც შესაცვლელია. რატომღაც ჩვეულებრივ ვუყურებთ ადამიანს, რომელიც ცოლს, დედას, შვილს ან მეგობარს სცემს და არ გვსურს მასთან ურთიერთობის გაფუჭება. საზოგადოებამ უარი უნდა უთხრას ასეთ ადამიანებს ურთიერთობაზე. ის თავისი ოჯახის წევრს არ ინდობს და რა თქმა უნდა, უცნობს უფრო ადვილად გაიმეტებს. ჩემი აზრით, არასწორია ძალადობრივი დანაშაულისთვის გასამართლებული ადამიანის საპატიმროდან ვადაზე ადრე გამოშვება. მეტიც, გვქონია შემთხვევები, როცა მოძალადეები ცოლებს ციხიდან ურეკავენ და ანგარიშსწორებით ემუქრებიან და ამის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის გვიცნობებია. იყო შემთხვევა, როცა პატიმარზე, რომელიც ასეთ ქმედებებს ახორციელებდა, შეწყალების კომისიამ საქმის განხილვა შეწყვიტა. უფრო ყურადღებით უნდა შევარჩიოთ



ადამიანები სამსახურში მიღებისას. როგორც ვიცი, 25 წლის ქალის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვეფხია ბაქრაძე ტაქსების გამოძახების კომპანიაში მძღოლად მუშაობდა. როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს მგზავრების გადაყვანა ანდო?

— ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა, მოზარდთა გახშირებული თვითმკვლელობის, ბულინგისა და ძალადობის შემთხვევები ადასტურებს, რომ ბავშვებში აგრესიაა იმატა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი და გამოსავალი რაშია?

— თუ სადმე რამე გვაქვს შესაცვლელი, განათლების სისტემაა. პრობლემა ბავშვის აღზრდაში, განათლებასა და ოჯახებში იმალება. დედებს შვილებისთვის არ სცალიათ და სამსახურის საძიებლად არიან გადახვეწილები. ქვეყანა სავსეა ვიღაცის იმედად დატოვებული ბავშვებით, რომლებიც არავინ იცის, როგორ იზრდებიან. რა თქმა უნდა, მოზარდების ცხოვრებაზე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ყოფითი პრობლემები და ძალადობრივი ფონიც აისახა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

— თქვენს ორგანიზაციას ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციალური თავშესაფარი აქვს, რომელმაც უამრავი ქალი განსაცდელისგან იხსნა და ჩემი აზრით, შემაკავებელ ორდერზე უფრო ეფექტური დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.

— ჩვენი თავშესაფარი 20 ადგილიანია. კანონით, ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადა 3-დან 6 თვემდეა, მაგრამ თუ სამართლებრივი საკითხების მოგვარება, ფსიქოლოგის დახმარება ან თერაპიის კურსის გავლა ჭირდება, ეს დრო შეიძლება გახანგრძლივდეს. რა თქმა უნდა, გარკვეული დროით თავშესაფარში გაყვანა გამოსავალია, მაგრამ ეს ხომ მუდმივი თავშესაფარი არაა? ხშირად მსხვერპლი თავშესაფარში გადასვლაზე უარს ამბობს იმიტომ, რომ თავშესაფრიდან წასვლის მერე საცხოვრებლის პრობლემა ექნება. ზოგჯერ ქალის ოჯახი ბინის სივიწროვის მიზეზებით შვილის მიღებაზე უარს ამბობს, რაც საერთოდ გაუგებარია. როგორ შეიძლება ბინის სივიწროვის გამო შვილის სასიკვდილოდ გამეტება? ვფიქრობ, ასეთი მშობლები ვერ აცნობიერებენ ოჯახური ძალადობის უბედურებას და ასეთ დროს მახსენდება შემთხვევა, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალი უნებლიე მკვლელი გახდა.. ქმარი ყოველ დღე ნასვამი მოდიოდა, ცოლს სცემდა და ოჯახს აწიოკებდა. ერთხელ, სხვანაირად რომ ვერ გააჩერა, ცოლმა მთვრალი ქმარი სკამზე მიაბა. კაცს გული აერია, თავისივე ამონაღებში დაიხრჩო და ცოლი მკვლელობის მუხლით ციხეში აღმოჩნდა.

ყოფილა შემთხვევები, რომ ჩვენი ბენეფიციარები ოჯახში დაბრუნებულან, მაგრამ უმეტესობა ცდილობს სამსახური დაიწყოს, ბინა იქირაოს და თუნდაც მიზერული შემოსავლით თავი და შვილები არჩინოს. ამიტომ

ვცდილობთ, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გადავამისამართოთ. მაგალითად, ნინო შიოშვილის „ამაგდარი“ასეთ ადამიანებს პროფესიის შეძენაში ეხმარება. ამასწინათ, გია ჯაჯანიძის შოუში სტუმრად ჰყავდათ ჩვენი ყოფილი ბენეფიციარი მარიკა გეგეჭკორი, რომელიც 4 საკუთარ შვილს და ორ ძმისშვილს მარტოდმარტო ზრდის. მისი ქმარი საშინლად გაუწონასწორებელი ადამიანი იყო და ცოლს სასტიკად ეპყრობოდა. მარიკა ჩემთან თითქმის ყოველთვის ნაცემი მოდიოდა. მერე ფსიქოლოგიურად და მორალურად მომაგრდა და მუშაობა დაიწყო. დილით მეეზოვედ მუშაობს, საღამოს სალონის დამლაგებლად.ოჯახებსაც ალაგებს და ისეთი შემოსავალი აქვს, რომ ექვსი ბავშვის მოვლას ახერხებს. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ჩვენი თავშესაფარი მარტო ძალადობის მსხვერპლთათვის არ არის. სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ჩვენთან მოჰყავს დედები, რომლებიც შვილებს მარტო ზრდიან. დედებმა შვილები ფინანსური პრობლემების გამო რომ არ მიატოვონ ან მინდობით აღზრდაში არ გადასცენ, სახელმწიფო მათ ვაუჩერის სახით გარკვეული რაოდენობის თანხას აძლევს. და ბოლოს, ძალადობაში მთავარი ის არის, რომ მოძალადეს სურს საკუთარი ძალაუფლების ჩვენება საკუთარი ძალადობრივი ქცევით თუ აგრესიული მოპყრობით. ერთადერთი მიზანი, რაც მას ამოძრავებს, არის ის, რომ თავისი აგრესიული ქცევით გააკონტროლოს მეუღლე თუ ოჯახის სხვა წევრი. ძალადობის მთავარი ქვაკუთხედი არის მოძალადის მხრიდან საკუთარი ძალაუფლების ჩვენება, თუ რამდენად ძლიერია ის. რეალურად, ამ სიძლიერის უკან ე.წ. არასრულფასოვნების კომპლექსი იმალება. ასეთი ადამიანი იმდენად სუსტია და იმდენად ბევრი კომპლექსი აქვს, რომ თვლის, რომ მხოლოდ აგრესიული ქცევით შეძლებს საკუთარი სიძლიერის დემონსტრირებას, რისი საშუალებაც არ უნდა მივცეთ. ძალადობრივ დანაშაულს ყველა ერთად უნდა შევებრძოლოთ: სამართალდამცავები, კანონი და საზოგადოება. სხვანაირად არაფერი გამოვა..

ნელი თორდია
571 35 36 88

ვინ იყო სტალინის მესამე საიდუმლო ცოლი?

ზოგისთვის ის ტირანია, ზოგისთვის ხალხზე მზრუნველი ბელადი და უძლეველი მხედართმთავარი, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ის იმდენად მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ, რომ მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია. ამერიკელმა მეცნიერებმა ის ას საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეთა სიაში შეიყვანეს. უდიდესი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი კი მისი გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკიდან წავიდა, რადგან მისი სიტყვებით „პოლიტიკა უინტერესო გახდა“. სტალინის პირადი ცხოვრება ყოველთვის ბურუსით მოცული იყო. ოფიციალური ცნობების მიღმა ყოველთვის არსებობდა რაღაც, რაც დღემდე უშიშროების სეიფებში ინახება და საიდუმლო გრიფი ადევს. სტალინის ცხოვრების მკვლევარები და ისტორიკოსები დღემდე ცდილობენ მისი პიროვნების ფარული მხარეების ამოხსნას, რაც ადვილი არ გახლავთ. სტალინი გულმოდგინედ ანადგურებდა ყველა დოკუმენტს და მტკიცებულებას, რომელიც მის პირად ცხოვრებას ეხებოდა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ისტორიკოსები უმეტესად, თვითმხილველთა მონაყოლს და იმ მასალებს ეყრდნობიან, რომლებიც თავად სტალინის გადაწყვეტილებით შემოინახა.. სტალინის პირველი ცოლი რევოლუციონერი ალიოშა სვანიძის და ეკატერინე გახლდათ. 16 წლის მორცხვი გოგონა დიდი თვალებითა და ლამაზი აღნაგობით 24 წლის რევოლუციონერს ცოლობაზე იმ პირობით დათანხმდა, თუ ჯვარს დაიწერდნენ. „ის იყო ბავშვი, რომელიც ქმარს ისე აღიარებდა, როგორც უზენაეს კანონს და არასოდეს ეწინააღმდეგებოდა“ – ასე ახასიათებდნენ ახლობლები სტალინის ცოლს. შვილის გაჩენის შემდეგ ეკატერინე მუცლის ტიფმა იმსხვერპლა. ახალგაზრდა რევოლუციონერმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა პარტიული ფსევდონიმი, ცოლის სიკვდილი მძიმედ გადაიტანა. თვითმხილველების ნაამბობიდან ირკვევა, რომ ცოლის სიკვდილით განადგურებულმა სოსომ გაორმაგებული ძალით დაიწყო მტრების განადგურება. კატოს სიკვდილის შემდეგ მარტო დარჩენილ რევოლუციონერს მძიმე პერიოდი დაუდგა: ციმბირში გადასახლება, საპყრობილეები და კონსპირაციული ცხოვრება, თუმცა არც ქალების ყურადღება და რომანტიკული თავგადასავლები აკლდა... იოსებ ჯუღაშვილმა მომავალი მეორე ცოლი, 23 წლით უმცროსი ნადეჟდა ალილუევა ძველ მეგობართან სტუმრობის დროს გაიცნო. ნადია არც მგზნებარე რევოლუციონერი იყო და არც მარქსიზმის იდეალების ფანატიკური მიმდევარი, თუმცა სტალინს, რომელმაც ძალაუფლების ყველა მწვერვალს მიაღწია, სწორედ ასეთი ქალი შეუყვარდა. მათ ერთად 12 წელი გაატარეს, ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ და მაინც.. 31 წლის ნადეჟდამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შინამოსამსახურე ქალი კაროლინა ტილი პირველი იყო, ვინც ლოგინთან, სისხლის გუბეში მწოლი ალილუევა ნახა. ქალის უსიცოცხლო სხეულის გვერდით პატარა პისტოლეტი „ვალტერი“ ეგდო. ბელადის მეორე ცოლის თვითმვლელობაზე ისტორიკოსები დღემდე დაობენ. არსებობს მოსაზრება, რომ ტრაგედიის მიზეზი ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური აზრთა სხვადასხვაობა გახლდათ, თუმცა მთავარი მიზეზი, რომელზეც მაშინ არავინ საუბრობდა, ეჭვიანობა გახლდათ.. 1932 წლის 8 ნოემბერს კრემლის ელიტა კლიმენტი ვოროშილოვის სახლში ოქტომბრის რევოლუციის მე-15 წლისთავს ზეიმობდა. წვეულებაზე მომავალი მარშალი ალექსანდრე ეგოროვი მზეთუნახავ ცოლთან, მსახიობ გალინა ცეშკოვსკაიასთან ერთად მივიდა. სტალინი საკმაოდ შეზარხოშებული გახლდათ, მას ქერათმიანი ლამაზმანი და მისი ღრმა დეკოლტე შეუმჩნეველი არ დარჩენია. სტალინი ცეშკოვსკაიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. სუფრასთან მყოფებმა შენიშნეს როგორ დაიძაბა და ანერვიულდა ნადეჟდა ალილუევა. ქალმა სკამი ხმაურით გაწია, ოთახიდან სწრაფი ნაიჯით გავიდა და კარი გაიჯახუნა. დილას ის გარდაცვლილი ნახეს. ამ დრომდე არ არსებობს სანდო ინფორმაცია თუ რა იმალებოდა ბელადის ოჯახში არსებული განხეთქილების უკან. ერთ-ერთი ვერსიით, სტალინის გამომწვევი ქცევა ალილუევას მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. ქალმა იცოდა, რომ 52 წლის სტალინს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდა და წყენას ვერ მალავდა. ოჯახის ახლობელი ქალი ირინა გოგუა ყვებოდა: „სტალინის გვერდით ნადია ჰგავდა ცირკის ფაკირს, რომელიც შუშის ნატეხებზე ფეხშიშველა დადის და თვალებში საშინელი დაძაბულობის მიუხედავად, პუბლიკას უღიმის. მან არასოდეს იცოდა, რა ელოდა მომდევნო დღეს.“ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სტალინი დედას წერდა: „გამარჯობა დედა. შენი წერილი მივიღე. მე კარგად ვარ. ჩემზე არ იდარდო. ჩემს ხვედრს გავუძლებ. ნადიას სიკვდილის შემდეგ ცხოვრება მძიმე გახდა, მაგრამ ვაჟკაცი ყოველთვის და ყველგან ვაჟკაცად უნდა დარჩეს.“

ალილუევას გარდაცვალების შემდეგ, კრემლში სტალინის დაქორწინებაზე ფიქრი დაიწყეს. აი, რას წერს ამის შესახებ ისტორიკოსი და პუბლიცისტი დიმიტრი ვოლკოგონოვი: „სტალინის უახლოესი გარემოცვა ცდილობდა მასთან დაახლოებული ადამიანის ნათესავზე დაქორწინებას. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო, ქორწინება არ შედგა“. როზა კაგანოვიჩი პირველად საბჭოთა დიპლომატმა ალექსანდრე ბარმინმა ახსენა. სტალინის მესამე, საიდუმლო ცოლის შესახებ ცნობები შემონახულია ნიკოლაი ბახესას წიგნში „სტალინი“. სტალინის ფავორიტი, როზა (რახილ) კაგანოვიჩი სახალხო კომისრისა და სტალინის თანამებრძოლის ლაზარე კაგანოვიჩის ნათესავი იყო. ბელადმა 17 წლის შავთმიანი ლამაზმანი კრემლში გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე შენიშნა და მაშინვე მოეწონა. პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომაზე პარტიული „ვერხუშკის“ სამეულმა – მოლოტოვმა, ბერიამ და კაგანოვიჩმა მოილაპარაკეს, გენერალისიმუსზე გავლენის გასაძლიერებლად, ქალიშვილი თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ. „როზა ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ქალი იყო. ის სტალინის კანონიერ ცოლი ვერ გახდა, თუმცა ბავშვი მაინც გაუჩინა“ – იხსენებდა ერთ-ერთ ინტერვიუში ლავრენტი ბერიას შვილი სერგო. 30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ელიტის კულუარებში ყველა ბელადის ახალგაზრდა საყვარლის უზომო გავლენაზე ჩურჩულებდა. სტალინის საიდუმლო ცოლის შესახებ გავრცელებული ჭორების გამო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კედლებში უამრავი ადამიანი აღმოჩნდა. ჰიტლერის საიდუმლო სამსახურს როზა კაგანოვიჩთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული. შავთმიანი ლამაზმანი გესტაპოს საძიებო სიებში ირიცხებოდა.. როგორც სტალინის ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავს, პროლეტარიატის ბელადის ცოლები მუქთმიანი, ქართული გარეგნობის ქალები იყვნენ, საყვარლები კი ქერა, სლავი ქალები. როზამ სტალინისგან ვაჟი 30-იანი წლების ბოლოს გააჩინა. იურის ქართული გარეგნობა ჰქონდა და ლაზარე კაგანოვიჩის ოჯახში იზრდებოდა. ლაზარეს და მის ცოლს მარია პრიტვორსკაიას შვილები არ ჰყავდათ. სახალხო კომისარს ერთადერთი ქალიშვილი მაია საყვარელთან შეეძინა. რაც შეეხება იურის, კაგანოვიჩი ამბობდა, რომ ბიჭუნა ბავშვთა თავშესაფრიდან წამოიყვანა. იური კაგანოვიჩის წარმომავლობას იკვლევდა რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ალექსანდრა არხიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ გრიფიანი დოკუმენტების ხელში ჩაგდება ვერ შეძლო, მკვლევარი დარწმუნებულია, რომ იური თავშესაფრიდან არ მოუყვანიათ და არც კაგანოვიჩის ცოლი იყო იმ ასაკში, რომ ბავშვი გაეჩინა. პოპულარული წიგნის „კრემლის ცოლების“ ავტორმა ლარისა ვასილიევამ სცადა გაერკვია სინამდვილეში ვინ იყო იური კაგანოვიჩი და მისი პირველი ცოლი სერაფიმა მოძებნა, რომელიც იურიმ საარტილერიო სასწავლებელში სწავლის დროს გაიცნო. სერაფიმას ნაამბობიდან ირკვევა, რომ მათ ოჯახში მიღებული არ იყო იმაზე საუბარი, რომ იური ნაშვილები იყო. სტალინის შვილის ოჯახური ცხოვრება მშვიდად და უღრუბლოდ მიედინებოდა, მაგრამ ლაზარე კაგანოვიჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, იური სასმელს მიეძალა და არყის შესაძენად, სახლიდან ნივთების გაყიდვა დაიწყო. სერაფიმა იძულებული გახდა დახმარება ლაზარე კაგანოვიჩისთვის ეთხოვა. გაბრაზებულმა მოხუცმა შვილობილს თავში ბილიარდის კიი დაარტყა და სახლიდან გააგდო. ამის შემდეგ იური ჯერ ირკუტსკში, შემდეგ კი მირნიში ცხოვრობდა. ძლევამოსილი ოჯახის შვილობილმა თავისი ლოთობით ხალხი ისე დატანჯა, რომ ქალაქკომის მდივანმა თხოვა, ოღონდ ამ ქალაქიდან წადი და თვითმფრინავს დაგიქირავებო. 60-იან წლებში იური საცხოვრებლად ჩეჩნეთში გადავიდა. სწორედ აქ გაიცნო საბავშვო ბაღის ლამაზი აღმზრდელი, რომელმაც ბიჭი გაუჩინა. გამუდმებული სმისგან იურის უკვე გული აწუხებდა. სტალინის შვილი 1976 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ნამდვილი მამის ვინაობის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუმცა სტალინის გენები უკვალოდ არ დაკარგულა – ამბობენ, რომ ჩეჩნეთში გაზრდილი სტალინის შვილიშვილი სახელგანთქმული მეომარი და ცნობილი საველე მეთაური გახდა. რაც შეეხება როზა კაგანოვიჩს, მას თავის წინასწარმეტყველებებში ხშირად ახსენებდა იმ დროს პოპულარული ნათელმხილველი მატრიონა. ერთ-ერთ წინასწარმეტყველებაში ის წერდა, რომ სტალინი თავისი სიკვდილით არ მოკვდებოდა და მას კაგანოვიჩის ნათესავი ქალი მოწამლავდა. კრემლის ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, სტალინს სიკვდილში მართლაც "დაეხმარნენ". ამ ვერსიის თანახმად, 1953 წლის 1 მარტის პრეზიდიუმის სხდომაზე კაგანოვიჩმა სპეციალური კომისიის მიერ „ექიმების საქმის“ განხილვა და ებრაელების დეპორტაციაზე გამოცემული ბრძანების გაუქმება მოითხოვა. სხდომაზე მან იმ დროისთვის წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა: საკუთარი პარტბილეთი დახია და სტალინს სახეში შეაყარა. სტალინი ასეთი დემარშისგან გაცოფდა და შეტევა დაემართა. ამ დროს, ვიღაცამ მას მოწამლული კონიაკით სავსე ჭიქა მიაწოდა. ერთი ვერსიით, ეს მოლოტოვმა იყო, ხოლო მეორე ვერსია როზა კაგანოვიჩს ასახელებს. როზა სტალინის გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა და გვარი შეიცვალა. ქალმა ღრმა სიბერემდე იცოცხლა და 1994 წელს გარდაიცვალა.

სალომე სახოკია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს

თქვენო უწმინდესობავ,

აფხაზეთის ომიდან 25 წელზე მეტი გავიდა. მახსენდება, მშობლიური მიწა-წყლიდან დევნილი ჩვენი თანამოძმეების მიმართ თბილისში და სრულიად საქართველოში თანაგრძნობის, დახმარების, შემწეობისა და თანადგომის სურვილით გამსჭვალული ხალხი. ჩვენი ქვეყნისთვის იმ უმძიმესს დღეებში საყოველთაო ერთობამ ასე თუ ისე შეგვიმსუბუქა ომის საშინელება და ყველას ერთად გადაგვატანინა ენითაღუწერელი ტკივილი გამოწვეული ნაწამები, დახვრეტილი, თავმოკვეთილი ჩვენი მეგობრების, ნათესავების, ახლობლების, დების, ძმების, დედების, მამების, ასწლოვანი ბებია- ბაბუების გამო. ქართველთა ერთსულოვნებამ იმედიც ჩაგვისახა იმისა, რომ საქართველოს თავს დატრიალებული უბედურება დიდხანს არ გასტანდა, რომ მალე აფხაზეთი ისევ შემოუმტკიცდებოდა საქართველოს, დევნილები დაუბრუნდებოდნენ საკუთარ კერას, ტაძრებში ისევ აღდგებოდა წირვა-ლოცვა და ისევ ძველებურად იქნებოდა ყველაფერი – ისევ ის სითბო, ის სიყვარული, რომლითაც გვზრდიდნენ და რითაც მჭიდროდ ვიყავით ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი. იმ ხანებში საქართველოში ყველა დევნილი იყო, ყველას ერთნაირად ტკიოდა აფხაზეთი. ადამიანები უკანასკნელ ლუკმა-პურს, საკუთარ საცხოვრისს, სამოსელს დევნილებს უყოფდნენ. ერთსულოვნება, რომელმაც მოიცვა

ზურაბ ჩიქოვანი

ქართველი ერი გადამდები იყო და ყველას გვჯეროდა, რომ აფხაზეთი არასოდეს განელდებოდა ჩვენში, არ მიეცემოდა დავიწყებას. განა მაშინ წარმოვიდგენდით, რომ წლების შემდეგ დევნილებს სპეცნაზის დახმარებით, ხელ-კეტების ქვეშ უმოწყალოდ გაყრიდა ქუჩაში წინა ხელისუფლება?!

ათწლეულებმა განვლო დაკარგულ მიწა-წყალზე ფიქრსა და წუხილში, მაგრამ საქართველო დაახლოების ნაცვლად თანდათანობით დაშორდა აფხაზეთს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. და ეს არის არამარტო ჩვენი შთამომავლობის, არამედ ჩვენი წარსულის, წინაპრების, საქართველოს ერთიანობისთვის შეწირული გმირებისა და ჩვენი აწმყოს წინაშე ჩადენილი დანაშაული. წლების მანძილზე გატარებულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ აფხაზეთის დაკარგვასთან ერთად საქართველოს მოუტანა ახალი მსხვერპლი, დევნილთა მორიგი ნაკადი, ზემო სვანეთის, ახალგორისა და მისი მიმდებარე ათეულობით სოფლის ოკუპაცია, დათესა უიმედობა, მარცხის, უკანდახევისა და დამცირების კომპლექსი, მასიურად გააკოტრა ხალხი და მევახშეთა მძევლად აქცია. ადამიანები უცხოვდებიან ერთმანეთის მიმართ. საზოგადოების ერთი ნაწილის ძალისხმევა, ნიჭი და პოტენციალი სიდუხჭირესთან ჭიდილში იფლანგება, მეორე ნაწილი კი ტოვებს სამშობლოს და უცხო ქვეყნებს ახმარს საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას. ამასობაში საქართველოს ტერიტორიებს აპატარავებენ საბალახოზე მიშვებული ვაიჭკუის პოლიტიკოსები, ხოლო მათ მიერ ხელდასმული უფლებადმცველი ნანუაშვიები ცდილობენ მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ სწავლება სკოლებიდან ამოიღონ იმ მოტივით, რომ თურმე ეროვნული სარწმუნოების სწავლა ადამიანის უფლებების დარღვევად, სხვა რელიგიებისა და კონფესიების შეურაცხყოფად მიიჩნევა დღეს.

რახანია აფხაზეთი არ გაჟღერებულა საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში, პრესისა და მასმედიის საშუალებით კი აფხაზეთს ომის დაწყებისა და სოხუმის დაცემის თარიღზე აჟღერებენ-წელიწადში ორჯერ. ამიტომაც, მეხის გავარდნას გავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახლადაარჩეული პრეზიდენტის უპრეცენდენტო გადაწყვეტილება, რომელმაც ქართველ პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ აფხაზეთი საქართველოა. პირველად ამერიკის ისტორიაში ხელი მოეწერა საკანონმდებლო აქტს, რომელიც აშშ-ს კანონით საქართველოს ტერიტორიებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარებს. ტრამპმა ამ ნაბიჯით აფხაზეთი ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში დააბრუნა იმ სამარცხვინო ოთხი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების საკითხს განაგებდა სუბიექტი – გვარად ზაქარეიშვილი – მეცნიერული კომუნიზმის დიპლომირებული მასწავლებელი, რომელმაც 4 წელი მოანდომა ჩვენი წარსულის თავისი მრუდე მეხსირების ყაიდაზე გადაწერას და ვინ იცის ამ ხნის მანძილზე პოლიტიკურ ველზე რამდენი ნაღმის ჩადება მოასწრო.

„ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა — ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა“. – შერიგების მედროშისთვის პასუხი ამ განცხადებაზე არავის მოუთხოვია, არც თანამდებობიდან გაუნთავისუფლებიათ, აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის ფაქტების გამყალბებელი და გამთეთრებელი ვადის ამოწურვამდე მოღვაწეობდა შერიგების სახელმწიფო მინისტრად. არც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიუციათ, როდესაც საქვეყნოდ გამოაცხადა – ქართველებს ეთნიკური ნიშნით გაგრაში თავებს არ ჭრიდნენო, რომ ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდააო და აფხაზეთის ნესტიანი კლიმატის ბრალი, რადგან ნესტი თურმე ლპობის პროცესს აჩქარებს და საკმარისიაო ორი, სამი დღე, რათა გახრწნილ გვამებს თავები სხეულიდან თავისით მოძვრესო, რაც სამედიცინო თვალსაზრისით აშკარა სიცრუე და ანატომიური აბსურდია. სიბრიყვით წამოცდა კიდეც, რომ ასობით თავმოკვეთილ გვამს ჭირისუფალს პირადად აბარებდა და მის მიერ შეთხზულ ამაზრზენ ლეგენდში არწუნებდა. ხოდა ეს სუბიექტი – სახელმწიფო დამნაშავე 4 წელი ისტორიული რეალობის გაყალბების ხარჯზე გვარიგებდა ჩვენ აფხაზებთან. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ საქართველოში ქართველთა გენოციდის ძეგლისთვის დღემდე ადგილი ვერ გამოინახა. თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამონახა დრო იმისთვის, რაც წესით ქართველ პოლიტიკოსებს უნდა

გაეკეთებინათ დიდი ხნის უკან, მსოფლიოს დაანახა საქართველოს რუქა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე წარწერით აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა. დასანანია ქართული პოლიტიკის ზაქარეიშვილებს ქართველები ერქვათ და ტრამპს – არაქართველი.

ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფო პოლიტიკა, ამიტომაა აფხაზეთის ომს, როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის უდიდეს ტრაგედიას სკოლებში არ ასწავლიან. ჩვენი შვილები საკუთარი ქვეყნის ერთიანობისთვის დაცემული გმირების ჟიული შარტავას, გურამ გაბისკირიას, რაულ ეჟბას, ჯუმბერ ბეთაშვილის, ვახტანგ გეგელაშვილის, მამია ალასანიას, გენო ადამიას, ზურიკო ჩიქოვანის, დიმა ჭურღულიას, მამა ანდრია ყურაშვილის, აფხაზ იური ანუას, ვოვა ვეკუას, დათო ქეცბაიას და სხვა გმირების წმინდა სახელებს არ იცნობენ. საქართველოს ეზრდება თაობა, რომელმაც არ იცის, რომ აფხაზეთი საქართველოა, თაობა, რომელსაც არ ეტკინება აფხაზეთი საქართველოს გარეშე. თაობა არმცოდნე საკუთარი ქვეყნის ისტორიისა ვერ დაიცავს სამშობლოს ინტერესებს, ვერ გაუწევს ოპონირებას მათ, ვისაც დღეს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე წამლავენ გაყალბებული ისტორიული ფაქტებითა და მოვლენებით, უნერგავენ ზიზღსა და სიძულვილს ქართველებისა და ყოველივე ქართულის მიმართ. აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველი სოფლის შესასვლელთან დგას ბანერები ომში დაღუპულთა სურათებითა და გმირული ბიოგრაფიით, მაშინ, როდესაც საქართველოში დღემდე დაფაც კი არ არსებობს ქართველობისთვის ნაწამები ქართველების უკვდავსაყოფად და მეტიც, ამ მოჩვენებითი სიმშვიდის პირობებში ქართველთა გენოციდი ისევ გრძელდება, მაგრამ მას უბრალო სტატისტიკად აფასებენ ჩვენივე მაღალჩინოსნები, როგორც გია ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტის კომენტირებისას იკადრა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა და ჩვენ ეს უზნეობაც გადავყლაპეთ.

საქართველოს ახალმა თაობამ არ იცის, რომ აფხაზეთის მრავალათასიანი მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა ეთნოწმენდისა და გენოციდის მსხვერპლია, რომ 90-იან წლებში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ გაასაჯაროვეს საგამოძიებო დასკვნა, რომლის ფინალური ნაწილი თითოეულმა ქართველმა ზეპირად უნდა იცოდეს და მას კერძო და საჯარო სკოლებში ჩვენს შვილებს უნდა ასწავლიდნენ.

„საქართველოს გენერალური პროკურატურა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ავტორი 200-ზე მეტი ტომისაგან შემდგარი საგამოძიებო მასალებისა მზადაა გამოვიდეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, როგორც ჩვენი ქვეყნის ნდობით აღჭურვილი მბრალმდებელი და კანონიერების უმკაცრესი დაცვითა და სუფთა სინდისით დაუჭიროს მხარი აფხაზი სეპარატისტების მიმართ უმძიმეს ბრალდებებს, რათა მათ პასუხი აგონ ჩადენილი გაუგონარი ბოროტებისათვის, როგორც კაცობრიობის, ისე მთელი საქართველოს მოსახლეობის წინაშე“.

დასკვნაში ასევე აღინიშნა, რომ დაფიქსირებულია მშვიდობიანი მოსახლეობის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის ასეულობით ფაქტი, რომლის რეალობაც გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო კომისიის სპეციალური მოხსენების მასალებითაც არის დადასტურებული და ეს საქართველოს ახალმა თაობამ არ იცის. განათლების სამინისტროს ხედვით ბევრად მნიშვნელოვანი სხვა საკითხებიც არსებობს, მაგალითად როგორიცაა საგზაო ნიშნები ან პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხები, ვიდრე სასწავლო პროცესში თუნდაც ერთი საათის გამოყოფა საქართველოს სამამულო ომზე აფხაზეთში.

გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმეთა მასალები მოწმეთა ჩვენებებს ეფუძნება, რომლებიც უკვე შუა ხნის ასაკს გადაცილებულნი არიან და ნელ-ნელა ტოვებენ ამ წუთისოფელს. სწრაფად გაირბენს კიდევ 25 წელი და აფხაზეთის ტრაგედიას თვითმხილველები არ ეყოლება. თვითმხილველთა გარეშე კი სრულფასოვანი საერთაშორისო გამოძიების ჩატარება შეუძლებელია. გამოძიებული ტომები დროთა განმავლობაში სათუო გახდება და მხოლოდ ფარატინა ქაღალდების დასტა.

ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს სიმართლე, შევაყვაროთ სიმართლე და სიმართლე აღზრდის მათ ღირსეულ ადამიანებად, რათა მათ შეძლონ გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც ჩვენ ვერ შევძელით და ამ საქმეში სახელმწიფო ხელშემწყობი უნდა იყოს და არა დამაბრკოლებელი.

ჰააგაში გადასაგზავნ საგამოძიებო მასალას პროკურატურის თაროები დღემდე არ დაუტოვებია, ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტებზე აკინძულ ობმოკიდებულ 200-ზე მეტ ტომს უკვე 25 წელია, რაც ტაბუ ადევს. მეტიც, ბოლო ხანებში გამძვინვარებულად ცდილობენ ამ ფაქტების გათეთრებას. ასეთ ვითარებაში საქართველომ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა, რასაც ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს ანაკლიაში ჩერქეზთა გენოციდის მსხვერპლთა ძეგლის გახსნა მოყვა, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამავდროულად ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ჩრდილოელი მეზობლის გასაღიზიანებლად ჩერქეზთა ტრაგედიის გამოყენება – ყოვლად მიუღებელი. ეროვნული ღირსების გადმოსახედიდან

მართებული იქნებოდა ანაკლიაში ჯერ ქართველთა გენოციდის ძეგლი აღმართულიყო, მაგრამ დღეს საქართველოში მცნება ეროვნული ღირსება სამწუხაროდ დავიწყებულია აფხაზეთთან ერთად. ჩვენ ერთადერთნი მთელს მსოფლიოში ვაღიარებთ ჩერქეზთა ტრაღედიას, რომელთა თვითმხილველნი თავად არ ვყოფილვართ და არ გვყოფნის გამბედაობა ჩვენს თვალწინ, ჩვენს მიწა-წყალზე – გაგრაში, ლესელიძეში, განთიადში, ახალსოფელში, არადუში, ცაგერაში, ახალდაბაში, კოჩარაში, ტამიშში, კამანში, სოხუმში, ჭუბერის გოლგოთაზე და ომის შემდგომ გალში ათასობით დახვრეტილ, თავმოკვეთილ, ცოცხლად დამწვარ მშვდობიან ქართველს ძეგლი დავუდგათ.

პოლიტიკა ხელოვნებაში, სატელევიზიო სივრცეში, პოლიტიკა თავად პოლიტიკაში მიმართულია აფხაზეთის არა მარტო დავიწყებისაკენ, არამედ ყოვლად უზნეო, კაპიტულანტური, შეურაცხმყოფელი და გაუკუღმართებული პოზიციის დანერგვისაკენ. საქართველო დამნაშავისა და მოძალადის როლშია გამოყვანილი. ბოდიშის მოხდით მიმართავს აფხაზ ძმებს, ოღონდ გაუგებარია რისთვის ებოდიშება, იმისთვის, რომ დღეს 300 ათასი ქართველი დევნილია თავისივე ქვეყანაში?! ათასობით უდანაშაულო ბავშვი, ქალი და მოხუცია ნაწამები მარტო იმისთვის რომ ქართველები

იყვნენ. აფხაზეთის ქართველობა 25 წლის წინ კარგად დაგეგმილი ფართომაშტაბიანი გენოციდისა და ეთნოწმენდის პოლიტიკის მსხვერპლი იყო და ეს არის სიმართლე, რომლის გაყალბებასა და მიჩქმალვას განსაკუთრებით ბოლო ხანებში ასე დაჟინებით ცდილობენ. თავსმოხვეული მიმართვის ფორმა – „ჩვენი აფხაზი ძმები“, რომელიც ცალმხრივად მხოლოდ ქართული მხრიდან ჟღერს არა მარტო გამაღიზიანებელია, არამედ უკიდურესად დამამცირებელი, თუმცა კარგ ტონად ითვლება და დაჟინებით მიმდინარეობს მისი წახალისება. მაშინ როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა კანონით აკრძალა დაფინანსება სახელმწიფოების, რომლებიც არ აღიარებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიებად, ასევე დაფინანსება იმ პროგრამებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ჩვენთან აქტიურად მიმდინარეობს მსგავსი ტიპის ფილმებისა და სპექტაკლების დაფინანსება, ამასთანავე ხელშეწყობა პროგრამების, რომლებიც არათანაბარ პირობებში აყენებენ აფხაზეთიდან დევნილ ქართულ მოსახლეობას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებთან, რომლებიც ჩამოდიან თბილისში და უფასოდ სარგებლობენ სამედიცინო მომსახურების პრივილეგიებით, მათ შორის ქართველთა გენოციდში განსაკუთრებული სისასტიკით მონაწილე დამნაშავეები. ქველმოქმედების ნებისმიერი გამოვლინება სახელწიფოს მხრიდან უდაოდ მისასალმებელია, მაგრამ არა საკუთარი დევნილების ინტერესების შელახვის ხარჯზე. უკვე რახანია ჩვენს დევნილებს სახელმწიფოს მხრიდან არ გააჩნიათ არც სამედიცინო, არც სატრანსპორტო, არც კომუნალური შეღავათები. მაშინ როდესაც სახელმწიფოს მხრიდან დევნილთა გარკვეული ნაწილის ფართებით დაკმაყოფილების პროცესი მიმდინარეობს, პარალელურ რეჟიმში საკანონმდებლო დონეზე დროდარო ჩნდებიან 45 ლარიანი დევნილის შემწეობის გაუქმების მსურველები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული აფხაზეთის საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგია და შიდა პოლიტიკაც მიმართული ასეთი განწყობის უფრო და უფრო გაღვივებისა და გაღრმავებისაკენ იმ ყურმოჭრილი პარტოკრატის ვახტანგ ყოლბაიას მრუდე ხელით, რომელიც უკვე მე-5 წელია კონსტიტუციის გვერდის ავლითა და კანონის უხეში დარღვევით აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ზის. რამოდენიმე წლის წინ ატეხილი კამპანია აფხაზეთის ტერიტორიაზე დატოვებული საკუთრების რეგისტრაციის გარშემოც გაურკვეველ ვითარებაში ჰაერში ჩამოეკიდა. ნუთუ ეს არის ერთადერთი გზა შერიგებისკენ, რომელსაც თავს გვახვევენ, ან რა სიკეთეს მოგვიტანს ასეთი ვითომ შერიგება?! საქართველოსთვის სასიკეთოს რომ არაფერს – ცხადია, რადგან 25 წლიანი ომი დღეს უკვე მცოცავი ოკუპაციის სახით გრძელდება, რომელსაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე და კეთილდღეობა ეწირება.

მამა ანდრია ყურაშვილი კამანში სიმართლისათვის აწამეს. როცა ეუბნებოდნენ თქვი, რომ ეს მიწა აფხაზურია, ის პასუხობდაეს მიწა ღვთიურია. აფხაზი იური ანუა გადაეფარა სიმართლეს და მამაო ანდრიას საკუთრი სიცოცხლის ფასად. ქრისტიანობა სიმართლის სიყვარულია. სიმართლის მიჩქმალვა, გაყალბება და გაუკუღმართება დამღუპველია არა მარტო ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, არამედ თავად აფხაზებისთვის, რადგან მათ მონანიებისა და ცხონების საშუალებას უსპობს. სიმართლე უნდა ითქვას როგორი მწარეც არ უნდა იყოს ის, ამ სიმართლეს ელოდება 300 ათასი დევნილი და სრულიად საქართველო – მიწიერი და ზეციური, რადგან სწორედ სიმართლე გაგვაერთიანებს, შეგვარიგებს, სიმართლე აღადგენს ნდობას და არა სიცრუე. ამიტომ, ვერ გავიზიარებ ცრუ შემწყნარებლობას, რომელიც სინამდვილეში არაქრისტიანულია, კაცთმოძულე და საქართველოს გამთლიანებას არ წაადგება.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ ძმიმე და წინააღმდეგობებით აღსავსე ჟამს, თქვენ ეროვნული სულიერების ბრძენი საჭეთმპყრობელი ქედმოუხრელად უძღვებით ათასწლეულების მანძილზე ზღვა სისხლით გამოსყიდულ მემკვიდრეობას.

როდესაც გაერომ ქართველი ერი და ქართული ენა მომაკვდავ ერთა და ენათა შავ სიაში შეიყვანა, თქვენ, ერის სულიერმა მამამ ამ გამოწვევას ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ამავე დროს შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილებით უპასუხეთ. დღეს, თქვენო უწმინდესობავ, თქვენ საქართველოში დაბადებული ყოველი მესამე შვილის ნათლია ბრძანდებით, მათ შორის ჩემი ტყუპი შვილიშვილების, რითაც ოჯახის განმტკიცებისა და ერის გამრავლების შეუქცევად წინაპირობას მყარი საფუძველი ჩაუყარე თ.

როდესაც ქართველ ერს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის- 17 მაისის თავს მოხვევა დაუპირეს, რასაც მთელი ერი და ბერი აღუდგა, თქვენი ლოცვა – კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 17 მაისი ოჯახური სიწმინდის დღედ გამოაცხადა. ამით თქვენ უზნეობის აღლუმი ზნეობის დღესასწაულად გადააქციეთ.

როდესაც საქართველოს დანაწევრების სამართლებრივად გაფორმების საშიშროება დადგა ერის სულიერმა მამამ ბაგრატ მესამის მსგავსად გააერთიანეთ სრულიად საქართველო. თქვენს წოდებაში მცხეთა-თბილისის გვერდით ბიჭვინთა და ცხუმ-აფხაზეთი აჟღერდა, როგორც სულიერი სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა, განმტკიცებისა და მარადიულობისა.

მთელს მსოფლიოში, როდესაც საქართველოს სულიერ საჭეთმპყრობელს მოგმართავენ, მათ შორის სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილეც, ახსენდებათ, რომ აფხაზეთი საქართველოა, რისთვისაც ბრძენმა ქართველმა ერმა სიცოცხლეშივე წმინდანად გაღიარათ.

თქვენო უწმინდესობავ, ყოველი თქვენი ეპისტოლე გამსჭვალულია საქართველოს გამთლიანების ურყევი რწმენით, რაც გვასაზრდოებს და მიუხედვად არაერთი უმძიმესი განსაცდელისა, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყნას, მაინც იმედიანად შევცქერით ხვალინდელ დღეს. თითოეული ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელით, ვისაც ტკივილი აფხაზეთზე არ გაგვნელებია და თქვენი ლოცვის მადლით რწმენა დაბრუნებისა, უმორჩილესად გთხოვთ აკურთხოთ ილორის წმ.გიორგის ეკლესიის მეტოქეინის ტერიტორიაზე აფხაზეთში ათასობით უდანაშაულო მშვიდობიან ქართველთა გენოციდის მსხვერპლთა ძეგლის აღმართვა მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ეროვნული ღირსების აღსადგენად, აფხაზეთის შემომტკიცებისა და საქართველოს გამთლიანების არდავიწყებისთვის.

სიყვარულითა და მოკრძალებით,

ზურაბ ჩიქოვანი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?

დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484– მუხლის 1– ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

– თუ შეიძლება, ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოგვაწოდეთ ინფორმაცია.

– თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით, რომლის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ.

მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობი თ.

მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება

1. მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა

პირს უფლება არა აქვს გაჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი- თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

მუხლი 528. შეწირულობა

1. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა).

2. პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

3. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა - 1. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში

გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს. არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 577 43 25 13

„მიმდინარეობს ქართული კულტურის დიდი ძარცვა – ქართული ცეკვები უკვე მიიტაცეს თურქებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა, ჩეჩნებმა“

გვესაუბრება საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ქორეოგრაფი, ბატონი გელოდი ფოცხიშვილი.

— ბატონო გელოდი, რა ხდება ქართულ ქორეოგრაფიაში?

— ქართულმა ქორეოგრაფიამ მსოფლიოს გააცნო საქართველო.

ამას იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ მე ქორეოგრაფიაში ვმოღვაწეობ. ერის სავიზიტო ბარათი, რითაც ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და წარსულზე წარმოდგენა ექმნებოდათ, ეს იყო და არის ქორეოგრაფია.

ჩემს ანსამბლთან ერთად 80 ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ამ ქვეყნებმა ჩვენგან გაიცნეს ქართული კულტურა, საქართველო.

— ახლა მსოფლიოში ჩვენს ცეკვებს ვინ გამოარჩევს? სომხები და თურქებიც კი ჩვენნაირად ცეკვავენ და ამ ცეკვებს თავიანთ ეროვნულ ცეკვებად ასაღებენ.

— ოსებიც ცეკვავენ „ოსი ჯიგიტების ცეკვას“, მაგრამ ეს იგივე ქართული მთიულური ცეკვაა, ქართული მუსიკით, ქართული ილეთებით, ქართული სამოსით, როდესაც **კოსტა ხეთაგუროვი** ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში წერს, ოსებს ცეკვა არ ჰქონდათო.

ცნობილია, რომ „სიმდი“ ჯანო ბაგრატიონმა გააკეთა. ცერებზეც

კი არ ჩერდებოდნენ დიდხანს. ახლა მთლიანად ცერებზე ცეკვავენ ოსურს. ადრე მათ მხოლოდ დუეტები ჰქონდათ.

სომხებმა ხომ მიიტაცეს და მიიტაცეს ჩვენი ცეკვები, მათ გარდა, აზერბაიჯანელებმაც. აზერბაიჯანულ ცეკვაში ქალი კაცთან არ ცეკვავს, ეს არ არის მათი ტრადიცია. არადა, უკვე დაიწყეს ასეთი დუეტების შექმნა. **ომარ მხეიძე** ამბობს, რომ ჩოხა ქართულია. 1760 წელს ეკატერინე II-მ მხატვარი გამოაგზავნა საქართველოში და დაახატვინაო. ასეა შემორჩენილიო. ეს საკამათო თემაა. ახლა ჩოხა ჩაიცვეს აზერბაიჯანელებმაც და ჩეჩნებმაც.

ბოლო ხანებში ხომ გინახავთ ჩეჩნური ცეკვები? თვალს ვერ მოწყვეტთ, ქალისადმი ისეთ სიახლოვეს, ვნებას და სიყვარულს გამოხატავენ, ჟრუანტელი დაგივლის, მაგრამ მათ რელიგიურად არ აქვთ იმის უფლება, რომ ქალისადმი ასეთი ინტიმურობა გამოხატონ. დაღესტნის ანსამბლის მთავარი ბალეტმაისტერი **ტანხო ისრაელოვი** ჩამოდიოდა საქართველოში. კარგად ვიცნობდი, შესანიშნავი ადამიანი გახლდათ. ერთხელ ჩამოვიდა და შეუკვეთა ცეკვა „ფარიკაობის“ ტანსაცმელი. ვხედავ, ფორმაზე ჯვრებია გამოსახული. ეს ჩვენი ცეკვის პატრიარქს ომარ მხეიძესაც შეუმჩნევია და უთქვამს: ჯვრები რომ აქვს ამ ტანსაცმელს, თქვენი რელიგიის მიხედვით ეს შეიძლებაო? მერე მოუხსნევინებია ტანხოს ჯვრები იმ ტანსაცმელზე.

სომხები უკვე მუხლებზე ცეკვავენ მთიულურს.

ერთი სომეხი ისე გათავხედდა, რომ ამბობს: „დაისი“ სომხური საქორწინო ცეკვააო.

პრობლემა იმაშია, რომ მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ მათ ეს კულტურები ჰქონდათ. კოსტა ხეთაგუროვმა კი თქვა, ოსებს ცეკვები არ ჰქონდათო, მაგრამ მას შემდეგ შეიქმნა ოსური ცეკვები, რომელშიც 70% ქართული ცეკვების ელემენტებია შესული.

რაც შეეხება თურქეთს.

ჩვენი ეკონომიკური გაჭირვებით ისარგებლა თურქეთმა, ჩვენი მოცეკვავეები წაიყვანა და დაასაქმა ისინი სხვადასხვა შოუებში. თურქეთში ერთი რეიტინგული შოუა „ერდოღანის შოუ“, „ანატოლიის ცეცხლი“ ჰქვია, იქ არიან ძირითადად ქართველები დაკავებული. ჩემი ხუთი მოცეკვავე ცეკვავს იქ, 2000 დოლარი აქვთ ხელფასი, რასაც ჩვენთან ვერასდროს ეღირსებოდნენ. 500–600 ლარზე მეტი არ აქვთ ანაზღაურება ჩვენს მოცეკვავეებს. „ერდოღანის შოუში“ ექვს ნომერს ცეკვავენ ქართულ ცეკვას, რაღაც გაურკვეველ ტანისამოსში და ამას ჰქვია თურქული შოუ...

ზოგიერთი ქვეყნის ფოლკლორულმა ანსამბლებმა შესანიშნავად შეითვისეს ჩვენი სიმღერები და ცეკვები, ახლა დადიან გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყნებში, იღებენ დიდ ანაზღაურებას, ნახულობენ მოგებას. ჩვენ ვზივართ საქართველოში და შიმშილით კუჭი გვიხმება.

ანზორ ერქომაიშვილმა გაიტანა უძველესი სიმღერები ამერიკაში. ასწავლა იქ სპეციალისტებს. კეთილშობილური მიზნებით გააკეთა ეს, მაგრამ მათ სათავისოდ გამოიყენეს. მთელი კონცერტი ჩვენი სიმღერებით რომ აქვთ დაპროგრამებული, როგორ შეიძლება, სხვა ქვეყნის კულტურას ყიდდე?

იაპონელებმა „კრიმანჭული“ იმ დონეზე იმღერეს, ვიფიქრე, გურულები მღერიან-მეთქი. საოცარი კრიმანჭული იმღერეს. მოკლედ, ყველა გვღლეტს და გვძარცვავს, შემკავებელი და ხელისშემშლელი კი არავინაა.

მაგრამ ყველაზე დაუძინებელი მტერი მაინც თურქეთია. ცეკვას და ხელოვნებას კი არა, მთლიანად აჭარას გვედავება.

თურქეთმა ორი საქართველოსხელა მიწა გადაიკეცა თავისკენ, ახლა უნდა მიიტაცოს მთელი აჭარა, გურიამდე. საქართველო ისედაც პატარა ქვეყანაა. ჩამოჭერი სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, რაღა დარჩა?

— ჩვენ ცეკვაზე ვლაპარაკობდით და თქვენ გურული ხართ და მაინც პოლიტიკისკენ იხრებით.

— ეკონომიკა და პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია ხელოვნებასთან.

თურქეთს როგორ წაუყენებ პრეტენზიას ცეკვაზე, როცა მისი ეკონომიკით გიდგას სული?

ვიღაცა იტყვის, ცეკვა არაა მნიშვნელოვანი. კი, მაგრამ, ცეკვა დაკარგე, სიმღერა დაკარგე, ტერიტორია დაკარგე, ვინღა ხარ შენ? რას გიჭირავს ყანწი ხელში და გამოთქვამ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს? ეს არის ღალატი, ეს არის უბედურება. ტრადიციას, კულტურას რომ წაგართმევს ერი და შენს ტრადიციას თავის კულტურაში ჩადებს, ამას მე ახლა ვყვირივარ. კიდევ ბევრჯერ ვიყვირებ, მაგრამ ხვალ მე რომ აღარ ვიქნები, ჩემი შვილები და შვილიშვილები ამას აღარ გააკეთებენ. არ დაუწყებენ თურქებს, ოსებს, სომხებს, ჩეჩენ-ინგუშებს და სხვებს ჭიდაობას ამაზე.

ეს არის, პრინციპში, გლობალიზაციის მონაპოვარიც.

ჩინეთს, რუსეთს, სხვა დიდ ქვეყნებს გლობალიზაცია ვერაფერს დააკლებს. ჩვენ, პატარა ერებს კი გვსპობს.

— ბატონო გელოდი, იაპონელებს და სხვა დიდ ერებს სიმღერები და ცეკვები არ ჰქონდათ, როგორც თქვენ ამბობთ, ჩვენ რომ გვტაცებენ?

— ჩვენნაირი პოლიფონია, გენეტიკური ვოკალი, ცეკვა არ ჰქონდათ, ეს არის ინდივიდუალური და გვაქვს მხოლოდ ჩვენ.

— ვინ ვართ დღეს ჩვენ, ბატონო გელოდი?

— ჩვენ ვართ წარსულ ისტორიაზე დამყარებული ერი, რომელიც დღეს პირდაღებული უყურებს სხვას ხელებში.

ისტორია გვაქვს, მაგრამ ეს ისტორიაც უგულებელყვეს, არადა, ადამიანი და ერი თავისი ისტორიით ფასდება და არა მომავლით.

— თქვენ შესანიშნავ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ხელმძღვანელობთ. მოგვიყევით, რას საქმიანობთ?

— ფოცხიშვილებს სამი ანსამბლი გვყავს — „მეტეხი“ — ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტი, ფოცხიშვილების სამეფო ნაციონალური ბალეტი და „პატარა ვარსკვლავები“.

„მეტეხი“ ახლა ჩინეთშია, იქ შოუში იღებს მონაწილეობას.

რაც შეეხება „სამეფო ბალეტს“, კონცერტი გვქონდა ამ თვის დასაწყისში.

ჩამოსული იყო ოთხი იმპრესარიო. ხელი მოეწერა მსოფლიო ტურნეს, რომელიც ოქტომბერში დაიწყება. 25 მაისს კულტურის თეატრში გვაქვს „პატარა ვარსკვლავების“ შოუ. შემდეგ ეს ანსამბლი საგასტროლოდ ესპანეთში მიემგზავრება.

ამ საქმეში ჩართულია მთელი ჩემი ოჯახი, ჩემი ვაჟები, შვილიშვილები, შეძლებისდაგვარად ვემსახურებით ქართულ კულტურას, რომელიც, საუბედუროდ, ჩვენს თვალწინ იძარცვება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983